# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 28 მაისი 2005 №118 (2441) ფასი 50 თეთრი




**ეს იყო ბედისწერა და ბენიტესი**

ამერის მწვრთნელის სტამბოლური ნაამბობი

4



**მსოფლიოში ყველაზე გრძელი სიგარა**

შმიცერი მთელი ღამე ბოლავდა

5



**იზორიამ მინეაპოლისი აიღო**

ქართველი დიდოსტატის გამარჯვება

15

# ალენ ჟირესმა შემადგენლობა დაადასტურა



რამდენი კაციცაა, იმდენი აზრიაო, ნათქვამია — ალენ ჟირესმა გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების საალბანეთო შემადგენლობა დაასახელა. როგორც ჩვეულებრივ ხდება, ეს შემადგენლობა ზოგს მოეწონა, ზოგს არა, მაგრამ ეს გარდაუვალი ამბავია და მასზე შეჩერება არ ღირს.

როგორც იქნა, ფრანგი მწვრთნელის სიაში მოხვდა თბილისის „ლოკომოტივის" მეკარე ზვიად სტურუა და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ჟირესის ნაკრებში გამოძახება პირველად ეღირსა „თბილისის" სოსო გრიშიკაშვილს — ესეც ორი, ასე ვთქვათ, დებიუტანტი კარის დარაჯი.

მუსიე ჟირესმა კვლავ გამოიძახა ბერძნული „ქსანთის" მარჯვენაფლანგელი ლევან მაღრაძე, რომელიც აქამდე თვითმფრინავით მგზავრობის შიშის გამო ვერ ჩამოდიოდა ნაკრებში, მაგრამ, როგორც ამბობენ, ამჯერად პრობლემა აღარ უნდა შეექმნას. თავდასხმაში ცვლილება არ არის, ნახევარდაცვაში კი მწვრთნელმა ვეტერანი საყრდენი ალექსანდრე რეხვიაშვილი დააბრუნა. წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ალბანეთში ვერ ითამაშებდა თურქეთთან მატჩში გაძევებული გოგიტა გოგუა.

ნაკრები 30 მაისს თბილისში შეიკრიბება, 2 ივნისს კი ტირანას გზას დაადგება.

# დედამიწის სახურავზე ცეცხლი აგიზგიზდება



ოლიმპიური ჩირაღდანი თავის მოგზაურობათა ისტორიაში სადღა არ ყოფილა: დედამიწაზე, ცაში, წყალზე, წყალქვეშ და კოსმოსშიც, მომავალში ალბათ მთვარეზეც გააფრენენ, მანამდე კი ჩინელებს პეკინის ოლიმპიური თამაშების ცეცხლის დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე ატანა განუზრახავთ. ეს დაგეგმილია ოლიმპიური ჩირაღდნის ტრადიციული ესტაფეტისას, რომელიც ოლიმპიურ თამაშებამდე გაიმართება. ამასთან, დედამიწის სახურავზე ცეცხლის ატანა განზრახულია, ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცეს.

„ამჟამად ჩვენს მიერ შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც მწვერვალზე ცეცხლის ატანის ვარიანტებს ამუშავებს. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ამინდზე და ამ ღონისძიების ზუსტ თარიღზე" — თქვა პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა.

# ქართული ფეხბურთი მილიონერია

## ალენ ჟირესის სამი ნოვ-ელა

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა გუშინ ის 22 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც 4 ივნისს ალბანეთთან სათამაშოდ მოამზადებს. რჩეულთა შორის ორი ისეთია, პირველად რომ მოხვდა მუსიე ჟირესის სიაში, თუმცა ამ ნათქვამს მცირე განმარტება მაინც სჭირდება. კერძოდ, მეკარე სოსო გრიშიკაშვილისგან განსხვავებით, მარჯვენაფლანგელი ლევან მაღრაძე აქამდე ორჯერ გამოიძახა ფრანგმა ნაკრებში, მაგრამ მან ჩამოსვლა ვერ მოახერხა. ისე, მაღრაძეს ნაკრებში ერთხელ უკვე უთამაშია: შარშანდელ კვიპროსის ოთხთა ტურნირზე, როცა ჩვენს ეროვნულ გუნდს დროებით გოჩა ტყებუჩავა წვრთნიდა*



გრიშიკაშვილზე უკვე ვთქვით და, ბარემ ზვიად სტურუასაც შევეხოთ — თბილისის „ლოკომოტივის" მეკარე ჟირესმა უკრაინისწინა შეკრებაზეც მიიწვია, მაგრამ მატჩის განაცხადში აღარ შეუყვანია, ანუ თამამად შეგვიძლია, სტურუაც დებიუტანტად მივიჩნიოთ.

მოკლედ, ჟირესმა შემადგენლობა გაგვაცნო და რამდენიმე შეკითხვასაც უპასუხა...

— ალბანეთისთვის მზადებას ძალიან სერიოზულად ვიწყებთ. გუნდი 30 მაისს შეიკრებება და ნაკრების ბაზაზე დაბინავდება. თავიდან საკმაოდ მოზრდილი სია მქონდა, მაგრამ თანდათან გავცხრილე და ეს 22 ფეხბურთელი შევარჩიე. ძირითადი დანაკლისი სამია — გოგიტა გოგუა დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს, გოგა გახოკიძე და ოთარ ხიზანეიშვილი კი ტრავმირებულები არიან. ვთვლი, რომ ეს შემადგენლობა დღეისათვის ოპტიმალურია. ჩვენ მხოლოდ წარმატებაზე ვფიქრობთ — გუნდმა ის რწმენა უნდა დაიბრუნოს, რომელიც ბოლო ორ მატჩში საბერძნეთთან და თურქეთთან დაკარგა.

**— რას იტყვით დებიუტანტებზე?**

— ფაქტობრივად, ასეთი სამია: სტურუა, გრიშიკაშვილი და მაღრაძე. საერთოდ, საქართველოში მეკარეების პრობლემაა და მინდა, ახლა ეს ბიჭები შევამოწმო. სტურუასაც და გრიშიკაშვილსაც ჩემპიონატის მატჩებში ვაკვირდებოდი და მათი მოწვევა გადავწყვიტე. მაღრაძეს კი უკვე შევხვდი და იმედი მაქვს, ისიც გამოგვადგება.

**— მაღრაძე შეკრებაზე ჩამოვა?**

— რადგან სიაში წერია, ესე იგი, ჩამოვა.

**— რატომ არ იწვევთ ნაკრებში რევაზ ქემოკლიძეს მაშინ, როცა უთამაშებელი ალექსანდრე ამისულაშვილი გამოიძახეთ?**

— ყველა ადამიანს თავისი აზრი აქვს და ასე თუ მივყვებით, შესაძლოა, ყველა ფეხბურთელის გამოძახებაზე მომიხდეს კომენტარის გაკეთება. ამისულაშვილის უპირატესობა ის არის, რომ დაცვაში მარცხნივაც შეუძლია თამაში და ცენტრშიც. ქემოკლიძის ადგილზე კი პრობლემა არ გვაქვს.

**— იმაზე რას იტყვით, რომ თქვენ მიერ შერჩეული ფეხბურთელებიდან რამდენიმეს სათამაშო პრაქტიკა აკლია?**

— ვთვლი, რომ მათზე უკეთესები არ გვყავს და მიზეზიც ესაა. საქართველოში 4 მილიონი კაცი ცხოვრობს და მგონი, ყველას მწვრთნელობა უნდა. მაშინ საფრანგეთში 60 მილიონი მწვრთნელია და აქედან რა ხეირი?! ყველამ საკუთარი გუნდი გავაკეთოთ?! ასეთი ლოგიკის არ მესმის.

**— ლიტვასთან ვასილ გიგიაძის თამაშით ძალიან კმაყოფილი დარჩით. თან თავადაც აღიარეთ, ამ შესარჩევიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი პრაქტიკულად აღარ გვაქვსო და ხომ არ აჯობებდა, გიგიაძე ისევ მიგეწვიათ და თამაშის საშუალება მიგეცათ?**

— არასოდეს მითქვამს, ამა თუ იმ ფეხბურთელით ძალიან კმაყოფილი ვარო. მე კმაყოფილება გამოვთქვი, რომ გიგიაძე საქმეში ვნახე. ეს იყო და ეს. თანაც ამ ტიპის შეკითხვას, მგონი, უკვე ვუპასუხე.

**ქახა ზალამბერიძე**

### საქართველოს ეროვნული ნაკრების სია

**მეკარეები**

გიორგი ლომაია ---------------------- (ხიმკი, რუსეთი)
ზვიად სტურუა -----------------------(ლოკომოტივი)
სოსო გრიშიკაშვილი ---------------------- (თბილისი)

**მცველები**

ზურაბ ხიზანიშვილი ------- (რეინჯერსი, შოტლანდია)
კახა კალაძე--------------------------(მილანი, იტალია)
ლაშა სალუქვაძე ------------------- (რუბინი, რუსეთი)
დავით კვირკველია ---------------- (ალანია, რუსეთი)
გივი კვარაცხელია ----------------- (კაუნასი, ლიტვა)
კახა მჟავანაძე------------------------(ანჟი, რუსეთი)
ლევან მაღრაძე ----------------- (ქსანთი, საბერძნეთი)
ალექსანდრე ამისულაშვილი ------ (დნიპრო, უკრაინა)

**ნახევარმცველები**

ლევან კობიაშვილი------------------- (შალკე, გერმანია)
ლევან ცქიტიშვილი ------------ (მ. დონეცკი, უკრაინა)
მალხაზ ასათიანი ------------ (ლოკომოტივი, რუსეთი)
ალექსანდრე რეხვიაშვილი ---- (ვენტსპილსი, ლატვია)
ვიტალი დარასელია ---------------- (ალანია, რუსეთი)
ლადო ბურდული ------------------- (ალანია, რუსეთი)

**თავდამსხმელები**

ლაშა ჯაკობია ------------------(მეტალისტი, უკრაინა)
მიხეილ აშვეთია ------------- (ლოკომოტივი, რუსეთი)
ალექსანდრე იაშვილი---------(ფრაიბურგი, გერმანია)
შოთა არველაძე ------------ (რეინჯერსი, შოტლანდია)
გიორგი დემეტრაძე ------------ (მ. დონეცკი, უკრაინა)

### საქართველოს ეროვნული ნაკრების გრაფიკი

30 მაისი ------------------------------ ფეხბურთელების ჩამოსვლა
31 მაისი ---- 17 საათი --------------------- ვარჯიში „ოლიმპზე"
1 ივნისი ---- 15 საათი ---------------- პრესკონფერენცია ბაზაზე
1 ივნისი ---- 17 საათი --------------------- ვარჯიში „ოლიმპზე"
2 ივნისი ---- 10 საათი ------- ვარჯიში სულაქველიძის აკადემიაში
2 ივნისი ---- 16 საათი ----------------- გამგზავრება ალბანეთში
3 ივნისი ---- 18 საათი ------------------------------- ვარჯიში
4 ივნისი ---- 20.30 საათი ------------------------------ თამაში

### ავსტრია

**პირველი დივიზიონი**
**XXXVI ტური**

ავსტრია (ლ) 2:0 ვიორგლი
გრატკორნი 2:2 ლეობენი
კაპფენბერგი 2:3 რიდი
კერნტენი 0:0 ალტახი
ლინცერი 2:1 უნტერზიბენბრიუნი

### გერმანია

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**XXXIII ტური**

ბაიერნი (მ) 1:1 დარმშტადტი

### საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი**
**XXXVIII ტური**

ამიენი 4:0 გენიონი
ანჟე 1:2 შატორუ
კლერმონი 0:0 ლე მანი
კრეტეი 4:0 რეიმსი
დიჟონი 0:0 ლავალი
გენგამი 3:1 გრენობლი
ლორიანი 2:1 სედანი
ნანსი 1:0 ბრესტი
ნიორი 6:1 ლე ავრი
ტრუა 2:1 მონპელიე

### თურქეთი

**სუპერლიგა**
**XXXIV ტური**

ძონია 4:2 ფენერბაჰჩე

### უკრაინა

**უმაღლესი ლიგა**
**XXVIII ტური**

არსენალი 1:0 მეტალურგი (ზ)

### ისლანდია

**პრემიერდივიზიონი**
**III ტური**

ფრამი 3:0 პროტური

### ირლანდია

**პრემიერლიგა**
**XI ტური**

უოტერფორდი 0:3 დროჰედა
ბოჰემიანსი 2:1 შელბურნი
კორკ სიტი 2:0 დერი სიტი
სენტ პატრიკსი 0:1 ლონგფორდი
დუბლინი 0:0 შემროკი

### ამხანაგური მატჩი

იაპონია 0:1 საამიროები

# არველაძე ოფიციალურად მოიხსნა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის აწ უკვე ყოფილმა კანდიდატმა რევაზ არველაძემ კანდიდატურის მოხსნის თაობაზე განცხადება ფედერაციაში ოფიციალურად გუშინ შეიტანა. ამგვარად, არველაძე არჩევნებს ყოველგვარი წეს-კანონის დაცვით ჩამოშორდა.

— განცხადება უკვე მივიღეთ და დღესვე გავაგზავნით ფიფა-უეფაში. ჩვენ ვალდებულები ვართ, წინასაარჩევნო პროცესები ფიფას და უეფას გავაცნოთ. ამჟამად პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატი სამია: ვლადიმერ გუცაევი, ნოდარ ახალკაცი და გიორგი ნემსაძე — გვითხრა გუშინ ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

შეგახსენებთ, რომ არველაძემ კანდიდატურა რამდენიმე დღის წინ მოხსნა და ნოდარ ახალკაცთან გაერთიანდა.

**ქახა ზალამბერიძე**



# ალბანეთიც და...

**ფეხბურთის** ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ 22 მაისს დაწერა განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ, თუმც ფედერაციის გენმდივან ვალერი ჩოლარიას თხოვნით, მისი წასვლა 5 ივნისამდე გადაიდო.

— 4 ივნისს საქართველოს ნაკრებს ალბანეთთან აქვს მატჩი და ლევანს ვთხოვეთ, ამ თამაშისთვისაც დაგვხმარებოდა — განაცხადა ვალერი ჩოლარიამ და ჯერაც პრესსამსახურის უფროსს სიმბოლური საჩუქარი გადასცა — საათი და სიგელი ქართულ ფეხბურთში შეტანილი წვლილისთვის.

— მიხარია, რომ ფედერაციაში ჩემი მუშაობით ხელმძღვანელები კმაყოფილნი დარჩნენ. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ყველა თანამშრომელს და, რა თქმა უნდა, თქვენ, ჟურნალისტებს — გვითხრა ლევან სალუქვაძემ, ვინც, შეგახსენებთ, თბილისის „დინამოს" პრესსამსახურის უფროსიცაა.

**ქახა ზალამბერიძე**



ვაჟა ლომიძის ფოტო

# ჩოლარია უპრეტენზიოდ

## 10 ივნისს გენმდივანი ფედერაციიდან წავა

*გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ პრესკონფერენცია მოაწყო. მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები იყო და აი, რა გვითხრა გენმდივანმა...*

— ფედერაციასთან კონტრაქტი 2006 წლის 31 დეკემბრამდე მაქვს გაფორმებული, მაგრამ საქმეს იქამდე არ მივიყვან, ჩემი ბედი ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტოს. ისედაც ვიცი, რა უნდა გავაკეთო და ამას 10 ივნისს, აღმასკომის სხდომაზე შევასრულებ.

...კონტრაქტში ჩაწერილია, რომ ჩოლარიას და აღმასკომს შეუძლიათ, გაწყვიტონ ხელშეკრულება ყოველგვარი ფინანსური პრეტენზიების გარეშე. მე ფედერაციასთან არანაირი ფინანსური მოთხოვნა არ მაქვს და ასევე არ უნდა ჰქონდეს რაიმე პრეტენზია აღმასკომს.

...პრეზიდენტობის ოთხივე კანდიდატს პირადად ველაპარაკე. მართალია, რევაზ არველაძემ კანდიდატურა მოხსნა, მაგრამ მასთან შეხვედრა მანამდე მოვასწარი. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ყველასთან საქმიანი საუბარი მქონდა და, ვფიქრობ, ასი პროცენტით დაკმაყოფილებულნი არიან საარჩევნო საკითხებით. მზად ვარ, არჩევნებამდე ვითანამშრომლო თითოეულთან.

...ზეგ საქართველოში ჩამოვა ჩვენთვის კარგად ნაცნობი ვალერი ნეფხრი, 8 ივნისს კი უეფადან ბრუნო ვოლფსბერგი გვესტუმრება. ისინი არჩევნებს დააკვირდებიან

...ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია მართლაც მოვინახულეთ მე და ალექსანდრე ჩივაძემ. მერაბი თავს კარგად გრძნობს და იმედი აქვს, რომ ციხიდან მალე გამოვა. სხვათა შორის, მან წინასაარჩევნო ამბები კარგად იცის.

კახა შალამბერიძე

# ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის განცხადება

2005 წლის 20 მაისს დამთავრდა (2 წლის ვადით) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია, რომელიც გაიარეს:

ბატონმა ვლადიმერ გუცაევმა, კანდიდატურა წარადგინა მცხეთა-მთიანეთის ფეხბურთის რეგიონულმა ფედერაციამ;

ბატონმა ნოდარ ახალკაცმა, კანდიდატურა წარადგინა ს.კ. ზესტაფონის „ზესტაფონმა“;

ბატონმა რევაზ არველაძემ, კანდიდატურა წარადგინა ს.კ. თბილისის „თბილისმა“;

ბატონმა გიორგი ნემსაძემ, კანდიდატურა წარადგინა გურიის ფეხბურთის რეგიონულმა ფედერაციამ და ს.კ. ფოთის „კოლხეთი 1913“-მა;

სფფ-ის ამჟამინდელი მდგომარეობა ახლადარჩეულ პრეზიდენტს აძლევს საშუალებას, მაქსიმალურად მცირე დროში გაერკვეს საქმის ვითარებაში და გააგრძელოს თავისი საქმიანობა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

2005 წლის 25 მაისის მდგომარეობით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ გააჩნია დავალიანება ქვეყნის ბიუჯეტის, იურიდიული ან ფიზიკური პირების მიმართ.

### ამ დროისთვის სფფ-ის საკუთრებაშია:

1. ბასა ღოღობერიძის სახელობის ტექნიკური ცენტრი „მცხეთა“, საბალანსო ღირებულებით 1 647 000 ლარი (ფიფას გრანტი და სფფ-ის საკუთარი სახსრები);
2. ტექნიკური ცენტრი „ლაგოდეხი“, საბალანსო ღირებულებით 88 100 ლარი;
3. ქართული ფეხბურთის სახლი (სფფ-ის ახალი ოფისი), საბალანსო ღირებულებით 881 000 ლარი (უეფას გრანტი, სფფ-ის საკუთარი სახსრები);
4. სფფ-ს ძველი ოფისი, საბალანსო ღირებულებით 30 000 ლარი;
5. სამსახურებრივი ტრანსპორტი: ტურისტული ავტობუსი „მერსედეს ლუქსი“, საბალანსო ღირებულებით 346 300 ლარი; მიკროავტობუსი „მერსედეს სპრინტერი“, საბალანსო ღირებულებით 53 752 ლარი; მსუბუქი ავტომობილი „ტოიოტა“, საბალანსო ღირებულებით 12 000 ლარი; მიკროავტობუსი „რენო“, საბალანსო ღირებულებით 19 200 ლარი;
6. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისათვის „პუმას“ ფირმის სპორტული ფორმის ეკიპირების კომპლექტი (უეფას გრანტი) 2005-06 წლებისთვის. ამასთან ერთად, სფფ თავისუფალია საკონტრაქტო ვალდებულებებისგან და აქვს უფლება, გააფორმოს ტექნიკური კონტრაქტი სპორტული ფორმის მწარმოებელ ნებისმიერ ფირმასთან;
7. სფფ არის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი (5%). აქციის რაოდენობა შეადგენს 587 505, რომლის ნომინალური ღირებულება არის 1 ლარი, რაც შეადგენს 587 505 ლარს. გარდა ამისა, ინდივიდუალური სკამების დაყენებაზე ინვესტიცია 1 010 200 ლარის ოდენობით ზემოაღნიშნული სააქციო საზოგადოების მიერ დღემდე არ არის ასახული სფფ-ის წილში. ამასთან ერთად, სფფ-ის წინა ხელმძღვანელობის მიერ 1997-1998 წლებში უეფასგან აღებული ინვესტიცია საერთო თანხით 1 000 000 შვეიცარული ფრანკი, რომელიც უნდა დაფარულიყო 2018 წლისთვის, მთლიანად გადახდილია;
8. „საქართველოს ბანკის“ ფიფა-სფფ-ს და უეფა-სფფ-ს სპეციალურ საბანკო ანგარიშებში ირიცხება მიზნობრივი მოხმარების ფულადი სახსრები: ტექნიკურ ცენტრ „მცხეთის“ მეორე რიგის განვითარება; ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედნების მშენებლობა; რეგიონული ფედერაციების ოფისების მშენებლობა, მათთან გახსნილი ბავშვთა საფეხბურთო სკოლებისთვის გასახდელებით, ტუალეტებით, საშხაპეებით და მწვრთნელთა ოთახებით;
9. ამას გარდა, სფფ-ს მიერ ფიფა-უეფაში წარდგენილი ყველა პროექტი ოფიციალურად დამტკიცებულია, დაწყებულია დაფინანსება, რის შედეგად 2005-06 წლებში სფფ მიიღებს „გრანტებს“ თავისი საქმიანობის ქვემოთ მოყვანილი მიმართულებებისთვის:

### უეფა-ფიფას მიერ სფფ-სთვის 2005-2006 წლებისთვის გამოყოფილი გრანტები

1. **2005 წლის აგვისტო:** 300 000 შვეიცარული ფრანკი. უეფას პროგრამა „სოლიდარობა“ სფფ-ს საქმიანობისათვის;
2. **2005 წლის დეკემბერი:** 300 000 შვეიცარული ფრანკი. უეფას პროგრამა „სოლიდარობა“ სფფ-ს საქმიანობისათვის;
3. **2006 წლის ივნისი:** 400 000 შვეიცარული ფრანკი. უეფას პროგრამა „სოლიდარობა“ სფფ-ს საქმიანობისათვის;
4. **2006 წლის აგვისტო:** 300 000 შვეიცარული ფრანკი. უეფას პროგრამა „სოლიდარობა“ სფფ-ს საქმიანობისათვის;
5. **2006 წლის დეკემბერი:** 300 000 შვეიცარული ფრანკი. უეფას პროგრამა „სოლიდარობა“ სფფ-ს საქმიანობისათვის;
6. **2005 წლის ივნისი:** 23 000 აშშ დოლარი. ფიფა — ტექნიკურ ცენტრ „მცხეთისთვის“ კონდიცირების შესაძენად (ფიფას ტენდერი);
7. **2005 წლის სექტემბერი:** 400 000 აშშ დოლარი. ფიფა — ტექნიკურ ცენტრ „მცხეთისთვის“ ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის შესაძენად (ფიფას ტენდერი);
8. **2006 წლის მარტი:** 225 000 აშშ დოლარი. ფიფა — სფფ-ის საქმიანობისათვის ფინანსური დახმარება;
9. **2005 წლის მარტი-2006 წლის დეკემბერი:** 40 000 აშშ დოლარი. ფიფა — ქალთა ფეხბურთისათვის ფინანსური დახმარება;
10. **„ჰეთ თრიკი“ 2005 წელი:** 84 000 ევრო. სფფ-ს მოთხოვნით, მინი-მოედნების მშენებლობისთვის;
11. **„ჰეთ თრიკი“ 2006 წელი:** 480 000 შვეიცარული ფრანკი. სფფ-ს მოთხოვნით, მინი-მოედნების მშენებლობისთვის;
12. **„ჰეთ თრიკი“ 2005 წელი:** 400 000 შვეიცარული ფრანკი. მ/წ აგვისტოდან ოფისების და ტექნიკური ცენტრის მშენებლობისთვის;
13. **„ჰეთ თრიკი“ 2005 წელი:** 279 000 შვეიცარული ფრანკი. სფფ-ს მოთხოვნით ოფისებისა და ტექნიკური ცენტრის მშენებლობისთვის;
14. **2005 წლის ოქტომბერი:** 275 000 შვეიცარული ფრანკი. უეფა — უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბების ახალგაზრდული პროგრამებისთვის.

### აღნიშნული პროექტების გარდა 2005-2006 წლებში სფფ-ს შემოსავალი სპონსორებისგან

1. **2005 წლის მაისი-დეკემბერი:** 225 000 აშშ დოლარი — „ფეროსგან“, 50 000 აშშ დოლარი — „ყაზბეგისგან“ სფფ-ს საქმიანობისთვის;
2. **2006 წლის იანვარ-დეკემბერი:** 150 000 აშშ დოლარი — „ფეროსგან“ სფფ-ს საქმიანობისთვის.

### სფფ-ს მოვალეები (იურიდიული პირები)

1. **2005 წლის ივნისი-ივლისი:** 50 000 აშშ დოლარი, ტელეკომპანია „სპორტი“, სფფ-ს საქმიანობისთვის;
2. **2005 წლის ივნისი-ივლისი:** 10 000 აშშ დოლარი, რაგბის ფედერაცია, სფფ-ს საქმიანობისთვის.

### სფფ-სადმი იურიდიული და ფიზიკური პირების დებიტორული დავალიანებები (სფფ-ს სუბიექტები და თანამშრომლები)

1. 2005 წლის 25 მაისის მდგომარეობით — 60 000 ლარი.

### ტელე და სარეკლამო უფლებები

2006-2007 წლები — ევროპის ჩემპიონატის 2006-2007 წლების შესარჩევი ტურნირის კენჭისყრის შემდეგ — 2006 წლის იანვარში, ქ. ვენაში.

### ბილეთების რეალიზაცია

1. **2005 წელს:** საშინაო მატჩების უპრეცედენტოდ ჩატარების გამო შემოსავალი არ იქნება;
2. **2006 წელს:** ჯგუფის შემადგენლობიდან გამომდინარე, ბილეთების ფასები და მათი რეალიზაცია.

### მოკლე ინფორმაცია სფფ-ის გენერალური მდივნის საქმიანობაზე

გენერალური მდივანი არ შედის აღმასკომის შემადგენლობაში და არ განსაზღვრავს სფფ-ს პოლიტიკას. ეს ყრილობის, აღმასკომის და სფფ-ს პრეზიდენტის პრეროგატივაა. გენერალური მდივანი ასრულებს, ახორციელებს მონიტორინგს და აკონტროლებს სფფ-ს უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე ზემდგომი საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციების (ფიფა-უეფა) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას, წესდების შესაბამის მუხლში ასახული თავისი ფუნქციონალური მოვალეობების ნაწილში.

მე ვმუშაობდი სფფ-ს გარშემო არსებული რეალური მდგომარეობის შესაბამისად, რასაც, ბუნებრივია, არ შეეძლო ხელი შეეწყო ქართული ფეხბურთის თანმიმდევრული განვითარებისთვის.

ჩვენ შორის მოქმედი კონტრაქტის 8.2 მუხლის შესაბამისად, ორივე მხარეს — სფფ-ს გენერალურ მდივანს და აღმასკომს ცალმხრივად, ერთმანეთის მიმართ ყოველგვარი ფინანსური პრეტენზიების გარეშე შეუძლიათ მოქმედი კონტრაქტის შეწყვეტა

ამ შემთხვევაში დგინდება ტექნიკური ვადა ყველა იურიდიული და ფინანსური დოკუმენტების გადაფორმებისათვის საქართველოში და ფიფა-უეფასი — შვეიცარიაში. აღნიშნული საკითხი ჩავრთე სფფ-ს აღმასკომის დღის წესრიგში, რომელიც გაიმართება 2005 წლის 10 ივნისს.

აქედან გამომდინარე, ვერ ვხედავ რაიმე გართულებას სფფ-ის შემდგომ საქმიანობაში.

სფფ-ის გენერალური მდივანი
ვალერი ჩოლარია

*მეორე ეტაპის დაწყებამდე თბილისის „ლოკომოტივს“ „ისე რა“ ამბიციურ გუნდად მოიხსენიებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რკინიგზელები 20-მატჩიან წაუგებელ სერიას გაჭიმავდნენ და არც დავით ყიფიანის თასის ალებაზე დადებდა ფსონს ვინმე. რეალობა კი სხვაგვარია: „ლოკომოტივმა“ თასიც ღირსეულად ჩაიბარა და ორ ფრონტზე რომ ებრძოლა, ვინძლო, მეორე ან მესამე ადგილისთვისაც გამოეკრა ხელი. „ზესტაფონთან“ გუშინწინდელი გამარჯვების შემდეგ ორი აზრი არავის გასჩენია — ნოდარ აკობიას უდავოდ ნიჭიერი შეგირდები და, შესაბამისად, პერსპექტიული გუნდი ჰყავს*



# არ გავცვლი მე ჩემს ფეხბურთელს...

## ნოდარ აკობია: ლოკომოტივში ბევრი სანაკრებო ახალგაზრდაა

— არ ვაჭარბებ, დაღვრილი ოფლის საფასური 26 მაისს მივიღეთ. ჩვენი გამარჯვება მწვრთნელებისა და ფეხბურთელების ურთიერთგაგების სინთეზმა მოიტანა — გვიიხრა ნოდარ აკობიამ, რომელსაც გუშინ გავესაუბრეთ.

— პირველი ეტაპის შემდეგ „ლოკომოტივს“ უმაღლესი ლიგის საშუალო დონის გუნდად მოიაზრებდნენ...

— როდესაც გუნდში მოვედი, მაშინვე დავსახე მიზანი: თასის მოპოვება, მეორე-მესამე ადგილზე გასვლა ან, უკეთეს შემთხვევაში, ორივე ერთად. ყველაფერი კარგად აეწყო, ფსიქოლოგიურადაც ჯანსაღი გუნდი გვყავს — რთულ მომენტებშიც კი აზერხებდნენ ბიჭები მობილიზებას. ფინალამდე ოთხი დღით ადრე „თბილისთან“ შეგნებულად დავასვენე წამყვანი ფეხბურთელები, რადგან ამ დროს უკვე მხოლოდ თასზე ვფიქრობდი და მივხვდი, რომ მისი მოპოვება რეალური იყო. ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩემი მეგობრის, დავით ყიფიანის სახელობის თასი მოვიგეთ. უნდა აღვნიშნო ზაურ სვანაძის დიდი წვლილი ამ წარმატებაში — ფაქტობრივად, მისი დაწყებული საქმე გავაგრძელე.

**— „ლოკომოტივში“ ბევრი საინტერესო ახალგაზრდა გამოჩნდა. ბევრი მწვრთნელი მათ ძირითადში დაყენებას ვერ გარისკავდა, თქვენ კი პირველივე თამაშებში ენდეთ და თქვით, რომ ეს ბიჭები ცხონებულმა ჯემალ ჩიმაკაძემ აღმოაჩინა.**

— ასეცაა. ჯემალ ჩიმაკაძეს არაერთი ტალანტი აღმოუჩენია, მას ალღო არასოდეს ატყუებდა. რისკზე რა გითხრათ, ამ ახალგაზრდებმა თავადვე დამარწმუნეს თავიანთ პოტენციალში. ვხედავდი, რომ მათი ზედმეტად „დაქოქვა“ აღარ იყო საჭირო, რადგან მონდომება და მოტივაცია ჰქონდათ. აი, ტაქტიკის მხრივ კი დიდი სამუშაო გავწიეთ მე და ჩემმა ასისტენტებმა.

**— „ლოკომოტივის“ ბევრი ფეხბურთელი, ალბათ, საქართველოს ეროვნულ და ნაკრებშიც ახალგაზრდულ მოხვდება. დღეს ვის გაუწევდით რეკომენდაციას ალენ ჟირესთან და გოჩა ტყებუჩავასთან?**

— ნებისმიერს. თუნდაც გიორგი სეთურიძე, რომელმაც მეორე ეტაპი ძალიან სტაბილურად ჩაატარა, დავით გიგაური და გიორგი კახელიშვილიც მშვენივრად მოერგებოდნენ ახალგაზრდულ ნაკრებს. ზვიად სტურუაზე კი აღარაფერს ვიტყვი: ძალიან გამიხარდა, ეროვნულ ნაკრებში რომ მიიწვიეს — 10 თამაშს გოლის გაუშვებლად შემთხვევით ვერ ჩაატარებ.

**— თქვენი გუნდის ლიდერები ვინ არიან?**

— ყველა ლიდერია. მადლობას ვუხდი თითოეულ ფეხბურთელს, მათ არც ერთ სხვა მოთამაშეზე არ გავცვლიდი. გამორჩევა არ მინდა, რადგან ნებისმიერ ლოკომოტიველს შეუძლია გადამწყვეტ მომენტში ყოჩაღობა. აღალად ვამბობ, 90 პროცენტი ფეხბურთელების დამსახურებაა, თასი რომ ავიღეთ. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ეტაპზე ბევრი გოლი ვერ გაიტანა, მიხეილ ბობოხიძის ბოლომდე მჯეროდა.

**— „ლოკომოტივი“ პირველად არ გასულა ევროტურნირებზე. ცივი გონებით რომ განვსაჯოთ, სად არის იმის გარანტია, რომ ევროპაში ეს გუნდი დიდი ანგარიშით არ დამარცხდება?**

— მთავარია, გუნდს რწმენა ჰქონდეს. ფეხბურთელებს უნდა ჩავუნერგოთ, რომ საქართველო მალტა და ლუქსემბურგი არაა, ჩვენ დიდი ტრადიციების ქვეყანა ვართ. ავად თუ კარგად, დღევანდელი თაობა მესხის, მეტრეველის, ყიფიანის და ხურცილავას გზის გამგრძელებელია, ამიტომ თავის ჩაღუნვა არ ეკადრება.

**— ნუთუ, ისეთი დაბალი დონის ჩემპიონატი გვაქვს, რომ სლოვაკეთის საშუალო დონის გუნდებთან 0:3 ვაგებთ? რაში ხედავთ გამოსავალს, საქართველოს ჩემპიონატის დონე რომ ამაღლდეს?**

— 10-გუნდიანმა ჩემპიონატმა ნაღდად გაამართლა. შემთხვევით გუნდებთან თამაშს „დინამოსთან“ ოთხჯერ შეხვედრა მირჩევნია და ეს არც უნდა იყოს საკამათო. ვფიქრობ, ჩვენი მწვრთნელები არიან გამოუცდელები და ღმერთმა ქნას, ფედერაციის მომავალმა პრეზიდენტმა სწორედ მათი განათლებისკენ აიღოს კურსი. გარდა ამისა, კლუბებს ფინანსური მხარდაჭერა სჭირდებათ. არ უნდა იყვნენ ისეთი გუნდები, რომლებთანაც წინასწარ მოგებული გაქვს თამაში. დღევანდელ ფეხბურთში უფულოდ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება ძნელია და ამიტომაც მიხარია „ზესტაფონის“ მაგალითი, რომლის პრეზიდენტმა ილია კოკაიამ პატარა ქალაქი ფეხბურთით გამოაცოცხლა.

**— „ლოკომოტივმა“ დღევანდელი ბირთვი თუ შეინარჩუნა, მომავალ სეზონში ჩემპიონობისკენ გაიწევთ?**

— ფეხბურთელების წასვლა-დარჩენა ჩემზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ, ცხადია, მათი გაშვება არ მინდა. ისე, რომც წავიდნენ, შეუცვლელი არავინაა — ბევრ საინტერესო ფეხბურთელს ვხედავ სხვა გუნდებში. ჩემპიონობისთვის კი ნაღდად ვიბრძოლებთ.

**ილია ნანობაშვილი**

# ეს იყო ბედისწერა და ბენიტესი

## ინგლისმა იტალიას დიდი ანგარიშით მოუგო

***იმ 80 000 მაყურებელს შორის, რომელმაც სტამბოლის „ათათურქზე“ 25 მაისის ჩემპიონთა ლიგის დაუვიწყარი ფინალი იხილა, აწ უკვე უმაღლესლიგელი თბილისის „ამერის“ მთავარი მწვრთნელი, საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი გიორგი ჩიხრაძეც იყო. თურქეთიდან მობრუნებულ ჩიხრაძეს რეგიონლიგის „ამერი 2“ — „იმედი 95“-ის მატჩის მერე შევხვდით და სტამბოლურ შთაბეჭდილებებზე ვესაუბრეთ***



**— ფეხბურთში მრავლისმნახველს, ვინძლო, ველარაფერს გაეკვირვებინეთ, თუმცა, დამეთანხმებით, „მილან“ — ლივერპულის“ შეხლა საოცარი სანახაობა გამოდგა...**

— ასეთი დრამატული და მოულოდნელობებით სავსე მატჩი მართლაც იშვიათად მინახავს. ცხადია, თამაშს პროფესიული თვალით ვუცქერდი, ვცდილობდი, ემოციებს არ ავყოლოდი, მაგრამ იმაზე, რაც „ათათურქის“ მოედანზე მოხდა, ძნელია, ემოციების გარეშე ილაპარაკო.

**— ემოციური მუხტი, ბუნებრივია, ყველაზე მეტად ტრიბუნაზე იგრძნობა. ვიდრე მატჩზე დაგეკითხებოდეთ, ჯერ ის გვითხარით, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, როგორ იქცეოდნენ იტალიელი ტიფოზები და ინგლისელი ქომაგები?**

— მე იტალიელ ქომაგებში ვიჯექი, 50 მეტრით მოშორებული ლივერპულელებისგან. პირველი ტაიმის დასრულების მერე ტიფოზთა არმია წამოდგა და ინგლისელების ლანძღვა-გინება დაიწყო. ჩემდა გასაკვირად, „ლივერპულის“ ფანობა ჩუმად იყო. ჯერარდას პირველი საპასუხო გოლის მერე კი ბრიტანელები მოფერიანდნენ და დაიწყეს... ასეთი ქომაგობა არსად მინახავს, მთელი მეორე ტაიმი და დამატებითი დრო არ გაჩერებულან, სიმღერითა და ენითაუწერელი გუგუნით აგულიანებდნენ „ლივერპულს“. ინგლისელმა ფანებმა იტალიელებს დიდი ანგარიშით მოუგეს.

**— პირველი ტაიმის მერე მილანელი ტიფოზები, ცხადია, ყინჩად იქნებოდნენ, მათმა გუნდმა ხომ სამი უპასუხო გოლი გაუტანა „ლივერპულს“...**

— ტიფოზები კი არა, თავად „მილანის“ ფეხბურთელები იყვნენ ყინჩად. გასახდელში შესვლამდე ქომაგებთან მიდიოდნენ, ისე იქცეოდნენ, თითქოს მატჩი დასრულდა და თასი უკვე მათი იყო.

**— როგორ ფიქრობთ, ამ თავდაჯერებულობამ ხომ არ დაღუპა „მილანი“?**

— არც უმაგისობაა, თუმც მილანელების გამტყუნებაც როგორი საქმეა?! ჩემპიონთა ლიგის ფინალში პირველ ტაიმს მეტოქეს 3:0-ს უგებ და თავი გამარჯვებულად რომ ჩაითვალო, ამაში გასაკვირი არაფერია. მაგრამ, როგორც გამოჩნდა, სწორედ ასეთი გულარხეინობის გამო დაისაჯა „მილანი“. თუმც ისე არ გამიგოთ, თითქოს „ლივერპულს“ და მის მართლაც საოცრად ჭკვიან მწვრთნელს, რაფაელ ბენიტესს თავდადებასა და გამჭრიახობას არ ვუფასებდე.

**— ევროპული სპორტული პრესა სწორედ რაფა ბენიტესსასხამს ხოტბას და მიიჩნევს, რომ ესპანელმა მეორე ტაიმში ტაქტიკური ბრძოლა მოუგო კარლო ანჩელოტის.**

— რაფაელ ბენიტესი რომ ბრწყინვალე ტაქტიკოსია, „იუვენტუსთან“ და „ჩელსისთან“ მატჩებშიც გამოჩნდა. ფინალში ბენიტესის აწყობილი „ლივერპული“ მატჩის დასაწყისშივე მალდინის გატანილმა გოლმა არია. მალდინის გოლს კაკას შეუდარებელი თამაში და „მილანის“ ორი გოლი მოჰყვა. მე არ ვიცი, რა უთხრა ბენიტესმა შესვენებისას შეგირდებს, მაგრამ ის კი ვნახე, რომ მეორე ტაიმში მოედანზე სულ სხვა „ლივერპული“ იყო. ამ სხვა „ლივერპულს“ სწორედ მწვრთნელის ჭკუა მართავდა — ბენიტესმა მოედნის ცენტრის ლასაპყრობად და კაკას შესაჩერებლად დიტმარ ჰამანი შეიყვანა, გუნდი სამი მცველით ათამაშა, რის საშუალებასაც სტივენ ჯერარდის უნივერსალიზმი აძლევდა. ესპანელმა მწვრთნელმა სწორად გათვალა და წარმოუდგენლად მოკლე დროში, ექვს-შვიდ წუთში ინგლისელებმა იტალიელთა სამბურთიანი უპირატესობა ქარს გაატანეს და პენალტებიც უკეთ დაარტყეს.

**— გამარჯვების პენალტი კი დუდეკმა ანდრეი შევჩენკოს აუღო...**

— როცა შევჩენკომ დამატებული დროის ბოლო წუთზე ორჯერ ვერ გაუტანა დუდეკს, მეც და ალბათ „ათათურქზე“ შეკრებილ მაყურებელს აღარც ეეჭვებოდა, რომ პენალტების სერიაში „ლივერპული“ მოიგებდა. ეს უკვე ბედისწერა იყო.

**სოსო კოტორეიშვილი**



სარბიელელები
ვულოცავთ
ნინო კედელაშვილს
და კობა ინასარიძეს
ანის დაბადებას.
ვუსურვებთ ანის
ჯანმრთელობას და
ბედნიერებას!




# მსოფლიოში ყველაზე გრძელი სიგარა
## პირველი, ბოლო და საუკეთესო





ვლადიმირ შმიცერი „ლივერპულს" ამაყად ტოვებს

AFP სტამბოლიდან

**ᲘᲛ ᲦᲐᲛᲘᲡ** ამბავს მოგახსენებთ, „ლივერპულმა" სტამბოლში ჩემპიონთა თასი რომ მოიგო და ბუნებრივია, გემრიელადაც მოულხინა. ლხინი უკვე კარგა ხნის გახურებული გახლდათ, როდესაც ჩეხმა ნახევარმცველმა ვლადიმირ შმიცერმა ოფიციანტს უხმო.

„მომიტანეთ სიგარა" — მოითხოვა არამწეველმა ჩეხმა.

და ყველას გასაოცრად, ნახევარმცველს, რომელმაც „ათათურქზე" გოლი თამაშის დროსაც გაიტანა და მატჩისშემდგომი პენალტების დროსაც, მოუტანეს...

„ეს იყო მსოფლიოს უგრძესი სიგარა. მთელ ოთახს სწვდებოდა — ამბობს შმიცერი და იქვე, ნაწილობრივ განმარტავს, თუ რა მოხდა — საქმე ის გახლავთ, რომ ჰოკეის დიდი გულშემატკივარი გახლავართ და ვიცი, რომ ნ.ჰლ-ში ყოველთვის, როდესაც გუნდი ჯილდოს იგებს, ტრიუმფატორები გამარჯვების აღსანიშნავად სიგარას ეწევიან. მაგრამ ის, რაც სტამბოლში მომიტანეს, წარმოუდგენელი სიგრძისა გახლდათ. ყოველი ხელახალი მოკიდებისას ვხედავდი, რომ სიგარა თავდაპირველი სიგრძისა იყო. მის წევას მთელი ღამე მოვანდომე."

ერთი სიტყვით, როგორც ინგლისელი ჟურნალისტები გვამცნობენ, 32 წლის ჩეხმა რესტორნიდან წაძინების გარეშე, პირდაპირ თვითმფრინავს მიაშურა და ემოციებსაც ვერ ერეოდა, რადგან ფაქტია, ველარასოდეს ჩაიცვამს „ლივერპულის" წითელ მაისურას.

„მოედანს საპატიო წრეს რომ ვუვლიდით, თვალზე ცრემლი მომადგა და ძალიან სევდიან გუნებაზე დავდექი — განაცხადა შმიცერმა — თუმც ისიცაა, რომ ეს დღე არასდროს დამავიწყდება."

ჩემპიონთა ლიგის მოგება და ისიც ბოლო თამაშში... ეს, ხომ ძალიან შთამბეჭდავი ამბავია? — ჰკითხეს მას.

პასუხი ასეთი იყო: „მეგონა, ფინალში მონაწილეობის შანსი არ მომეცემოდა, მაგრამ, ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული და როდესაც მოედანზე შემიშვეს, თამაშში კარგად ჩავერთე. მანამდე კი ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს „ლივერპულის" წინაშე ვალში ვიყავი. საქმე ის არის, რომ ზაფხულის შემდეგ ტრავმებმა დამრია ხელი და ბევრი თამაში გამიცდა. თან კლუბმა ამერიკაში გამაგზავნა, სადაც საუკეთესო ქირურგებმა გამიკეთეს ოპერაცია. ამის შემდეგ კი მოთმინებით ელოდნენ ჩემს გამოჯანმრთელებას. გარდა ამისა, მინდოდა „ლივერპულის" ფანებისთვის დამემტკიცებინა, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ. მათი ფავორიტი რომ არ ვიყავი, გულს მიკლავდა. ახლა, მგონი, შევძელი სურვილის ასრულება. კიდევ, მგონია, რომ საკუთრივ ლივერპულელთაგანაც ალარავის სჯეროდა თამაშის შემობრუნება, თუ შეიძლებოდა, მე კი „ალავესის" წინააღმდეგ ჩატარებული უეფას თასის ფინალი გავახსენე თანაგუნდელებს, მოვაგონე, რომ 3:1-ს ვიგებდით და მეტოქემ 3:3 გაგვიხადა. ფეხბურთში მართლაც ყველაფერი ხდება.

თუმცა არა, „მილანის" წინააღმდეგ... ეს უბრალოდ, შეუძლებელი რამ მოხდა. ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ის, რომ ტრიბუნაზე 45 ათასი ლივერპულელი იჯდა, ეს ხალხი კი თავიანთ გუნდს მარტოს არასდროს ტოვებს."

შემდეგ ვლადიმირ შმიცერმა პენალტების სერია გაიხსენა.

„საქმე პენალტებზე რომ მიდგა, მწვრთნელმა მკითხა, მზად თუ ხარო, რაზეც ვუპასუხე, რომ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და საერთოდ, იღბლიანი დღე მაქვს. შემდეგ ბენიტესმა კუნთის კრუნჩხვა შემახსენა, რაზეც მივუგე, რომ პენალტის შესასრულებლად სულ რამდენიმემეტრიანი გარბენა დამჭირდებოდა, რასაც რამენაირად მოვახერხებდი. როდესაც არნი რიისე პენალტის დასარტყმელად დაიძრა, გავიფიქრე, თუ ამან შეაგდო, ესე იგი მეც შევაგდებ და თან აუცილებლად გამარჯვებისას-მეთქი, მაგრამ რიისემ ვერ გაიტანა და მეც იქვე ვუთხარი თავს, შენ ასეთი რამ არ დაგემართება. მინდა გითხრათ, რომ ზუსტად ვიცოდი, რაც უნდა გამეკეთებინა, ვარჯიშებზე ბევრჯერ გავიმეორე ერთი და იგივე და ბიჭებს თავიდანვე ვუთხარი, რომ ჩემს საყვარელ მარჯვენა კუთხეში დავარტყამდი."

ახლა კი ჩეხი „ლივერპულიდან" „ჩარლტონისკენ" ან „ბირმინგემისკენ" მიმავალ სატრანსფერო გზას ადგას.

„რაფა ბენიტესი მწვრთნელია და მას გადაწყვეტილებების მიღება უწევს, ხანდახან მკაცრი გადაწყვეტილებებისაც კი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ ეტაპზე ბენიტესს ახალი გუნდის შექმნა აქვს გადაწყვეტილი, მე კი უკვე 32 წლის ვარ. მაგრამ ეგ არაფერი, რადგან მე „ლივერპულში" ჩემი ცხოვრების ბრწყინვალე პერიოდი გავატარე და იგი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გოლითა და პენალტით დავასრულე. საერთოდ, „ლივერპულის" შემადგენლობაში შვიდი ჯილდო მომიგია, რაც ჩემნაირი ფეხბურთელისთვის მგონი დიდებული შედეგია, არა?

ჩემს გოლზეც ვთქვა რამე? რა გითხრათ, მართალია, საერთოდ ბევრი გოლები არ გამაქვს, მაგრამ ასეთები გამიტანია. ეს იყო ჩემი პირველი, ბოლო და საუკეთესო გოლი ამ სეზონში. მე ის არასდროს დამავიწყდება" — დაგვირგვინა ბოლოს შმიცერმა.

**ᲙᲐᲙᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**

*როდესაც სტივ ჯერარდი სტამბოლის „ქრაუნ პლაცა ოტელის" ფოიეში შელასლასდა, სახეზე სრული გათანგვა ეტყობოდა. შემდეგ ოთახში შევიდა, ორი საათით მოატყუა თვალი და ძალები ოდნავ აღიდგინა, მაგრამ მოგვიანებით, უფრო ზუსტად კი შუადღისას თვალნათლივ ეტყობოდა, რომ წინა საღამოს დიადი ამბები გონებაში ჯერ ისევ ვერ ჰქონდა დალაგებული. ერთადერთი, რაც მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა კისერზე ჩამოკიდებულ მედალზე დახედვა გახლდათ. მედალზე კი ამოტვიფრული იყო CHAMPIONS LEAGUE და მისი დანახვა ჯერარდს არწმუნებდა, რომ ის, რაც მის თავს ხდებოდა, სიზმარი არ იყო — ეს სიტყვები ინგლისური „სანის" ჟურნალისტის, ფილ ტომასის სტატიის ზუსტი თარგმანიდან არ გახლავთ, მაგრამ აზრს, ბუნებრივია არ ვუცვლით და ქართველ მკითხველს ტომასის მიერ ნანახის და დაწერილის მიხედვით ჩვენს შეკონწიწებულ წერილს ვთავაზობთ*

# გათიშული



სტივენ ჯერარდი რაფაელ ბენიტესს შესვენებაზე თურმე, ვერ უსმენდა

AFP სტამბოლიდან

**ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ** ჯერარდის დარად უძილო და ზედაც ნამთვრალევი ინგლისელი ფანების ფოტოაპარატების ჩხაკაჩხუკი მიწყნარდა, „ლივერპულის" კაპიტანმა თქვა: „მთელი თამაშის განმავლობაში ერთხელაც არ გამივლია გუნებაში, რომ მოვიგებდით. შესვენებაზე რომ გავდიოდი, უიმედოდ ვფიქრობდი, იქნებ საქმე დამატებით დრომდე მიგვაყვანინა-მეთქი. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი მეგონა, რომ ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. ზუსტად ანდრეი შევჩენკოს უკან ვიდექი, როდესაც მან დაარტყა. ნაღდი გოლი მეგონა, მაგრამ ირჟი დუდეკმა წარმოუდგენელი ორმაგი რეაქციით გადაგვარჩინა და მერე რაღაცნაირად გამოვძვერით. ამ დროს, ექვს თუ შვიდ ჩვენთაგანს ფეხები, შეიძლება ითქვას, აღარ გვება და ამიტომაც ვლაპარაკობ სასწაულზე. შემდეგ ბოსმა მკითხა, პენალტს თუ დაარტყამო. მე ვუთხარი, რომ დავარტყამდი და მან სიაში მეხუთედ ჩამწერა. ვიფიქრე, აი, დიდი მადლობა ძმაო-მეთქი. ტრ...ი საერთოდ გამექცა საღლაც, მაგრამ მერე იმათმა ბიჭმა პენალტიდან ბურთი სტადიონს გადააცილა და მივხვდი, რომ ჩვენი დღე იყო."

თამაშის შემდეგ ათასობით სკუსერი გაუყვა „ათათურქის" სტადიონიდან სტამბოლის ცენტრისკენ მიმავალ 15 კილომეტრიან გზას, რათა ქალაქი წითლად შეეღება. მაგრამ, ინგლისელი ჟურნალისტის თქმით, დილით, როდესაც მზე ამოვიდა, თვალწინ ერთი ძალიან უცნაური სურათი დაიხატა. [illegible] მაინც ლურჯი იყო თუმცა ეს გახლდათ [illegible] არ იყო წითელი. [illegible] ეს ხალხი წინა საღამოს, [illegible] ლი ტაიმის შემდეგ, [illegible] თას [illegible] გადავარდნილიყო.

„შესვენებისას ყველაფერი [illegible] რებული მეგონა — ალონსოს [illegible] — „მილანი" ისეთი ფანტასტიკური გუნდია და ისეთ ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობდა, რომ 0:3-ზე უკვე მოუწვდომელი ჩანდა. მილანელები ბურთს საშინლად სწრაფად ათამაშებდნენ, კაკა კი ამ პლანეტიდან არ უნდა იყოს... და, შედეგად [illegible] სამი გოლით, კიდევ კარგი, რომ მხოლოდ სამით, მაგრამ შესვენებისას მწვრთნელმა მოგვიწოდა არ [illegible] ულა და დაფაზე სქემები დაგვიხატა. მან აგვიხსნა, რა სქემა და რა [illegible] ში პრინციპი უნდოდა შეეცვალა ტაიმში და ისიც დაგვიმტკიცა, თუ გოლს [illegible] გავიტანდით, ანგარიშის გათანაბრების შანსი მოგვეცემოდა.

მაგრამ, საშინელება ის იყო, რომ მოსმენა და ნათქვამიდან აზრის გამოტანა მიჭირდა. საერთოდ [illegible] ბის მოკრება მიჭირდა. თავი ხელებში ჩავრგე და ვცდილობდი, გამოსავალი მეპოვნა, ოღონდ, ვხედავდი, რომ ვერ ვიპოვნიდი.

სასწაულის წყალობით, ჩვენ ეს შევძელით."

**ᲙᲐᲙᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**




AFP ლიდერფოტო

# ისინი სასწაულმა გაანითლა

*ჩემპიონთა თასის მფლობელ გუნდს ლივერპული „განითლებული“ დახვდა. ტრიუმფატორებს აეროპორტში ქალაქის მერი ალან დინი შეეგება. მერე ფეხბურთელები საგანგებოდ გალამაზებულ ავტობუსზე „ამხედრდნენ“. ქუჩებში გამოფენილმა 300 ათასამდე ფანმა კი დაახლოებით 16 კილომეტრიანი „ცოცხალი“ დერეფანი გააკეთა და ავტობუსი, რომელსაც ეწერა „ლივერპული“, ევროპის 2005 წლის ჩემპიონი — სტადიონამდე მიაცილა*

**ფეხბურთელებს** ოცამდე ცხენოსანი პოლიციელი მიჰყვებოდა, კანადიდან დაბრუნებულმა დედოფალმა ელისაბედმა კი თქვა, რომ ეს შესანიშნავი გამარჯვება იყო. პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ფინალურ მატჩს დაუჯერებელი, სასწაული უწოდა, ხოლო 50 წლის ქომაგმა რეი ლუისმა — ისტორიული.

„ამის მსგავსს ალბათ, ვერსად ნახავთ“ — ხარობდა ლუისი.

„ეს სასწაულია, მე აღფრთოვანებული ვარ, მიხარია, რომ ამის მომსწრე გავხდი“ — გაჰკიოდა ავტომობილის სახურავზე შემომჯდარი ერთი ბიჭი.

ირჟი დუდეკის „ცეკვა“ ბრიუს გრობელაარს უნახავს და სააგენტო „როიტერისთვის“ განუცხადებია: „დუდეკმა „ლივერპულს“ ძველი დიდება დაუბრუნა. მან ორი პენალტი მოიგერია და არ მეგონა, რომ ჩემს ცეკვას ასე კარგად შეასრულებდა.“

მოკლედ, ლივერპული ხარობს, მაგრამ სადღესასწაულო სუფრას მარილი აკლია. უეფა ჩემპიონთა ლიგაში მეხუთე ინგლისური გუნდის დაშვებას ჯერჯერობით არ აპირებს. საქმეში ბრიტანეთის სპორტის მინისტრი რიჩარდ გაბორნი ჩაერია და უეფასთან საკითხის მოგვარებას ცდილობს. „მე უკვე ვესაუბრე უეფას აღმასრულებელ დირექტორ ლარს-კრისტერ ოლსონს და ვუთხარი, რომ „ლივერპულის“ ჩემპიონთა ლიგის გარეთ დატოვება, დაცინვა იქნება და მეტი არაფერი. 17 ივნისს მანჩესტერში, უეფას აღმასკომის სხდომაზე წესის შეცვლაზე იმსჯელებენ და ვიმედოვნებ, რომ საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება. არასწორია, როცა ჩემპიონთა თასის მფლობელს მოგებული ტიტულის დაცვის უფლებას არ აძლევენ“.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ბრაიან ბერვიკმა განაცხადა: „წესის შეცვლის თაობაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს. აბსურდული რამ გამოდის. ტურნირს ჩემპიონთა ლიგა ჰქვია და თასის მფლობელი ვერ ითამაშებს. ეს უეფას ინტერესებში არ უნდა შედიოდეს“.

ამასობაში, „ლივერპულს“ დახმარება უელსიდან შესთავაზეს. უელსის ჩემპიონ „ლანსანტფრეიდის“ თავმჯდომარე მაიკ ჰარისმა თქვა, ჩემი გუნდი „ლივერპულს“ ერთმატჩიან პლეი ოფში შეახვედრონ და გამარჯვებულმა ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშოსო: „ჩვენ ძალიან იშვიათად გვიწევს სხვა ქვეყნის გუნდებთან თამაში და ეს იდეა ამიტომაც დაიბადა. „ლანსანტფრეიდისთვის“ „ლივერპულთან“ მატჩი რეკლამა იქნება და ცოტა ბიუჯეტსაც შევივსებთ. უეფა, ინგლისისა და უელსის ფეხბურთის ასოციაციები მხარს თუ დაგვიჭერენ, ჩვენ მზად ვართ“.

უელსის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა დევიდ კოლინზმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, „ლანსანტფრედს“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში თუ არ სურს, მაშინ მის ადგილს სხვა გუნდს დავუთმობთ, არავითარი „ლივერპულიო“.

უკვე გადაწყდა, რომ „ლივერპული“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ითამაშებს, რომელიც დეკემბერში, იაპონიაში გაიმართება. ჩემპიონთა თასის მფლობელი ექვსგუნდიან ტურნირში ნახევარფინალიდან ჩაერთვება და პირველი მატჩი 15 დეკემბერს ელის.

**გაგა ხუციშვილი**

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა
### XXXV ტური

ადმირა — ზალცბურგი 1:1; ბრეგენცი — გრაცერი 0:1; რაპიდი — აუსტრია 0:1; შტურმი — პაშინგი 3:0; ტიროლი — მატერსბურგი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 35 | 21 | 8 | 6 | 66:28 | 71 |
| გრაცერი | 35 | 20 | 7 | 8 | 55:27 | 67 |
| აუსტრია | 35 | 18 | 12 | 5 | 59:23 | 66 |
| პაშინგი | 35 | 17 | 8 | 10 | 52:47 | 59 |
| მატერსბურგი | 35 | 12 | 9 | 14 | 47:55 | 45 |
| ტიროლი | 35 | 11 | 10 | 14 | 47:47 | 43 |
| ადმირა | 35 | 10 | 8 | 17 | 35:58 | 38 |
| შტურმი | 35 | 9 | 10 | 16 | 34:46 | 37 |
| ზალცბურგი | 35 | 8 | 9 | 18 | 35:50 | 33 |
| ბრეგენცი | 35 | 4 | 9 | 22 | 29:78 | 21 |

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

### მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

*სერო პორტენო (პარაგვაი)* 2:1(პენ.4:5) ატლ. პარანენსე (ბრაზილია) (1:2)
*ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)* 4:0 ატლ. ხუნიორი (კოლუმბია) (3:3)
*რივერ პლეიტი (არგენტინა)* 4:2 LDU კიტო (ეკვადორი) (1:2)
*ტიგრესი (მექსიკა)* 2:1 ონსე კალდასი (კოლუმბია) (1:1)

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80




**იტალიური** „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები უკვე მომავალ სეზონზე ფიქრობენ და ერთხმად აღნიშნავენ, რომ გუნდის მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგება იქნება. გარდა ამისა, ფაბიო კაპელომ, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, ემერსონმა და ჯანლუიჯი ბუფონმა მადრიდის „რეალის“ გასაგონად კიდევ ერთხელ განაცხადეს, არსად წასვლას არ ვაპირებთო.

**ფრანგული** პსჟ-ს უფროსობამ გუნდის თავკაც ლორან ფურნიესთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. მან სეზონის ბოლოს გუნდი საკმაოდ კარგად აათამაშა და პარიზელთა ხელმძღვანელობასაც მისი იმედი აქვს.

**პორტუგალიური** „პორტუ“ „შტუტგარტის“ ნახევარმცველით ფერნანდუ მეირათი დაინტერესდა. „დრაკონებს“ იგი მოსკოვის „დინამოში“ გადასული კოშტინიას შემცვლელად ესახებათ. როგორც ამბობენ, გერმანელები დაახლოებით 5 მილიონ ევროს მოითხოვენ.

**იტალიურმა** „მილანმა“ შვეიცარიელ ნახევარმცველ იოჰან ფოგელთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ფეხბურთელმა სეზონის ბოლოს „პსვ ეინდჰოვენი“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. „ძალიან გახარებული ვარ. ოცნება ამიხდა და საუკეთესო კლუბში გადავედი“ — აღნიშნა ფოგელმა.

**ინგლისური** „ჩელსი“ სადაცაა „პორტუს“ ფორვარდ ბენი მაკკარტის შეიძენს. მოგეხსენებათ, ლონდონელთა თავკაცი ჟოზე მაურინიო თავის ყოფილ შეგირდს კარგი თვალით უყურებს და მისი დიდიდ დროგბასთან შეწვილება უნდა.

**ესპანურმა** „ხეტაფემ“ თავის ვეტერან თავდამსხმელ გეორგე კრაიოვიანუსთან გაახანგრძლივა კონტრაქტი. 37 წლის რუმინელმა ყატარში გადასვლას შემდეგ სეზონშიც მადრიდული კლუბის რიგებში დარჩენა ამჯობინა.

**იტალიურმა** „ინტერმა“ „პარმას“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ფაბიო სიმპლისიოს დაადგა თვალი. მისით კიდევ რამდენიმე კლუბია დაინტრესებული და პარმელთა უფროსობის თქმით, გუნდი ფეხბურთელის შენარჩუნებას ვერ შეძლებს, რადგანაც წასვლა თავად სიმპლისიოსაც სურს.

**ესპანური** „ბარსელონას“ ერთ-ერთმა ლიდერმა დეკომ, გუნდის უფროსობას „მანჩესტერის“ ნახევარმცველ კრისტიანო რონალდოს შეძენა სთხოვა. ბრაზილიური წარმოშობის პორტუგალიელის თქმით, რონალდო სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც „ბარსელონას“ სჭირდება.

**ინგლისური** „არსენალი“ ფილიპ სენდეროსთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს და ხელფასსაც გაუზრდის. ლონდონელთა შეფობა 20 წლის შვეიცარიელის თამაშით ძალიან კმაყოფილია და მას ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მცველად მიიჩნევს.

**იტალიური** „რომა“ თავისი პერსპექტიული მეკარის ჯანლუკა კურჩის შენარჩუნებას აპირებს. მოლაპარაკება უკვე დაწყებულია, მაგრამ მხარეები ჯერჯერობით ფეხბურთელის ხელფასზე და ახალი კონტრაქტის ხანგრძლივებაზე ვერ თანხმდებიან.

**ესპანური** „რეალის“ ხელმძღვანელობა მიხაელ ბალაკის დამატებაზე ფიქრობს. მოგეხსენებათ, დიდი შანსია, „ბაიერნის“ ლიდერმა სეზონის ბოლოს გუნდი დატოვოს. მისი შეძენით ინგლისური „მანჩესტერიც“ დაინტერესებულია, მაგრამ ამბობენ, თავად ფეხბურთელს თვალი მადრიდისკენ უჭირავსო.

**ჰოლანდიელი** ნახევარმცველი ედგარ დავიდსი სეზონის ბოლოს „ინტერს“ რომ დატოვებს, უკვე გადაწყვეტილი ამბავია. როგორც ირკვევა, „პიტბული“ სავარაუდოდ „ალკმაარში“ ჩაირიცხება, რომელსაც მომავალი სეზონიდან მისი ყოფილი თავკაცი ლუის ვან გაალი გაწვრთნის. შეგახსენებთ, რომ შესაძლოა, „ალკმაარში“ შოთა არველაძე და პატრიკ კლუივერტიც აღმოჩნდნენ.

**ფრანგული** „მარსელის“ თავკაცი ფილიპ ტრუსიე ჯერჯერობით პოსტის თავისი ნებით დატოვებას არ აპირებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ უახლოეს დღეებში მას მოხსნიან. პრესაში კი უკვე ტრუსიეს სავარაუდო შემცვლელებზე საუბრობენ. ყველაზე რეალური კანდიდატი სენეგალის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბრუნო მეტსიუა.

**ესპანეთის** ნაკრებისა და „ვილიარეალის“ გოლკიპერმა ხოსე მანუელ რეინამ დაადასტურა, რომ მომავალ სეზონს „ლივერპულში“ დაიწყებს. „კლუბები უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ და კონტრაქტს ხელს სამედიცინო შემოწმების შემდეგ მოვაწერ. გული მწყდება, „ვილიარეალიდან“ რომ მივდივარ, მაგრამ მჯერა, ქომაგები სწორად გამიგებენ“ — თქვა 22 წლის მეკარემ.

**გერმანული** „ვერდერი“ ჰამბურგის“ მცველ დანიელ ვან ბუიტენის შეძენაზე ფიქრობს. მომავალ ზაფხულს ბრემენელებს სავარაუდოდ, ვალერიან ისმაელი დატოვებს და გუნდის უფროსობამაც უკვე მის შემცვლელზე დაიწყო ზრუნვა.

**იტალიური** „პარმას“ ადმინისტრატორმა ლუკა ბარალდიმ განაცხადა, რომ ამჟამად ალბერტო ჯილარდინოს შეძენის ყველაზე მეტი შანსი „იუვენტუსს“ აქვს. „ჩვენ არაფერი არ გვაიწყდება. ფინანსური თვალსაზრისით, ტურინელები არაერთხელ დაგვხმარებიან. ცხადია, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ჩვენ მათთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ასე რომ, თუ „მილანი“ და „იუვენტუსი“ დაახლოებით თანაბარ პირობებს შემოგვთავაზებენ, ჯილარდინო „ბებერ ქალბატონში“ გადავა, ხოლო თუ „როსონერი“ მეტს გადაიხდის, ალბერტო მათი საკუთრება გახდება“ — აღნიშნა ბარალდიმ.

| XXXVIII ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| სიენა | : | ატალანტა |
| ფიორენტინა | : | ბრეშა |
| იუვენტუსი | : | კალიარი |
| რომა | : | კიევო |
| პალერმო | : | ლაციო |
| მესინა | : | ლივორნო |
| უდინეზე | : | მილანი |
| ლეჩე | : | პარმა |
| ინტერი | : | რეჯინა |
| ბოლონია | : | სამპდორია |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 37 | 25 | 8 | 4 | 63:25 | 83 |
| მილანი | 37 | 23 | 9 | 5 | 62:27 | 78 |
| ინტერი | 37 | 18 | 17 | 2 | 65:37 | 71 |
| უდინეზე | 37 | 17 | 10 | 10 | 55:39 | 61 |
| სამპდორია | 37 | 17 | 9 | 11 | 42:29 | 60 |
| პალერმო | 37 | 12 | 16 | 9 | 45:41 | 52 |
| მესინა | 37 | 12 | 11 | 14 | 43:51 | 47 |
| რომა | 37 | 11 | 11 | 15 | 55:58 | 44 |
| კალიარი | 37 | 10 | 14 | 13 | 49:56 | 44 |
| ლივორნო | 37 | 11 | 11 | 15 | 48:59 | 44 |
| ლაციო | 37 | 11 | 10 | 16 | 45:50 | 43 |
| ლეჩე | 37 | 10 | 13 | 14 | 63:70 | 43 |
| რეჯინა | 37 | 10 | 13 | 14 | 36:45 | 43 |
| კიევო | 37 | 11 | 9 | 17 | 32:49 | 42 |
| ბოლონია | 37 | 9 | 14 | 14 | 33:36 | 41 |
| ბრეშა | 37 | 11 | 8 | 18 | 37:51 | 41 |
| პარმა | 37 | 10 | 11 | 16 | 45:62 | 41 |
| სიენა | 37 | 8 | 16 | 13 | 42:54 | 40 |
| ფიორენტინა | 37 | 8 | 15 | 14 | 39:50 | 39 |
| ატალანტა | 37 | 8 | 11 | 18 | 33:43 | 35 |

# იტალია

*გიორგი პაპაბაძე*

## ინტრიგა ბოლო წამამდე
## ეს ხომ სერია A არის



კარლო მაცონეს იტალიაში გუნდების დამტოვებლის სახელი აქვს გავარდნილი

**იტალიის** ჩემპიონატს დაძაბულობა ბოლომდე გამოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სამეულისა და ერთი გავარდნილი გუნდის ვინაობა უკვე ცნობილია, ბოლო, 38-ე ტურის თითქმის ყველა მატჩს გარკვეული ინტრიგა აქვს შემორჩენილი.

„დელე ალპიზე", წინა ტურში გაჩემპიონებული „იუვენტუსი" ასევე უმოტივაციო „კალიარის" უმასპინძლებს და მატჩის შემდეგ ქომაგებთან ერთად იზეიმებს 28-ე სკუდეტოს. ეს შეხვედრა იმითაც არის საინტერესო, რომ „ბებერი ქალბატონის" რიგებში ადრიან მუტუს დებიუტი იგეგმება, ხოლო ჩირო ფერარა კარიერას ასრულებს.

„ლივერპულისგან" დაშოკილი „მილანი" უდინეს სტუმრობს. კარლო ანჩელოტის გუნდისთვის ამ შეხვედრას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მასპინძელთათვის კი — პირიქით. მთელი სეზონის მანძილზე ლამაზად და შედეგიანად მოთამაშე „უდინეზე" ამ შეხვედრაში წარმატების შემთხვევაში გენუის „სამპდორიაზე" არ იქნება დამოკიდებული და ჩემპიონთა ლიგის საგზურს გაინაღდებს.

მოგეხსენებათ, „მილანი" „უდინეზეს" მოთამაშეებს — დავიდ პიზაროსა და ვინჩენცო იაკინტას უტრიალებს, ხოლო თუ იტალიურ პრესას ვენდობით, მარეკ იანკულოვსკი ფაქტობრივად, უკვე „როსონერის" ფეხბურთელია. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, „ბოროტი ენების" ნათქვამი, „მილანი" მეტოქეს უპრობლემოდ დაუთმობს სამ ქულასო. ეჭვებს „შავ-წითელია" წინასწარი შემადგენლობაც ზრდის, რომელიც საკმაოდ ექსპერიმენტულია.

„სამპდორია" კი ბოლონიას ეწვევა და „მილანის" იმედზე მყოფი გენუელები ყველანაირად ეცდებიან გამარჯვების მოპოვებას. თუმცა, ეს არც ისე ადვილი იქნება, რადგანაც ქულები მასპინძლებსაც სჭირდებათ. ბოლო წლებში „ბოლონია" პირველად დგას სერია A-დან გავარდნის საფრთხის წინაშე. კარლო მაცონეს გაწვრთნილი გუნდები უმაღლესი ლიგიდან არასდროს გავარდნილან და გამოცდილი სპეციალისტი ამ ტრადიციის დარღვევას არც ახლა აპირებს. ვიქვათ ისიც, რომ როდესაც მაცონე „ასკოლის" ედგა სათავეში, „სამპდორიას" ამჟამინდელი თავკაცი ვალტერ ნოველინო მისი შეგირდი იყო.

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება „არტემიო ფრანკიზე". ურთულეს მდგომარეობაში მყოფ „ფიორენტინას", „ბრეშას" დარად, სამი ქულა ჰაერივით სჭირდება. თუმცა შესაძლოა, ფლორენციელთათვის მოგებაც არ აღმოჩნდეს საკმარისი. სტუმრებს კვლავ არ ეყოლებათ მძიმედ დაშავებული მარკო დელვეკიო და სიმონე დალამანო, მასპინძლები კი მეტოქეს სრული შემადგენლობით ხვდებიან.

არანაკლებად უჭირს „პარმას". პიეტრო კარმინიანის გუნდს გადარჩენის შანსს მხოლოდ სამი ქულა მისცემს, მაგრამ მთლად უმოტივაციო არც „ლეჩეა". მართალია, მასპინძლები თავს შედარებით მშვიდად გრძნობენ, მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ მარცხის შემთხვევაში მათ გავარდნის საშიშროება რეალურად დაემუქროს.

გარკვეული დანაკლისი ორივე გუნდს აქვს — პარმელებს ტრავმირებული [illegible]ნი, მარკიონი და ფერონეტი არ ეყოლებათ, ხოლო „ლეჩეს" მცველი ჩეზარე ბოვო თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

ბოლოს კი „სიენასა" და „ატალანტას" დაპირისპირებაზეც ვთქვათ. მასპინძლებს სერია A-დან უკვე გავარდნილ ბერგამოელებთან გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ, რაც მათ გადარჩენის და თუნდაც გადათამაშებაში მონაწილეობის მიღების შანსს მისცემს. თუმცა თუ „ფიორენტინა" „ბრეშას" ქულებს ვერ წაართმევს, „სიენას" სერია B საგარაუდოდ, გამარჯვების შემთხვევაშიც არ ასცდება

| XXXVIII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| სოსიედადი | : | ბარსელონა |
| სარაგოსა | : | რეალი |
| ხვალ | | |
| რასინგი | : | ალბასეტე |
| ესპანიოლი | : | ბილბაო |
| ნუმანსია | : | დეპორტივო |
| მალიორკა | : | ბეტისი |
| ატლეტიკო | : | ხეტაფე |
| სევილია | : | მალაგა |
| ვალენსია | : | ოსასუნა |
| ვილიარეალი | : | ლევანტე |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 37 | 25 | 8 | 4 | 73:29 | 83 |
| რეალი | 37 | 24 | 5 | 8 | 68:31 | 77 |
| ვილიარეალი | 37 | 17 | 11 | 9 | 65:36 | 62 |
| ბეტისი | 37 | 16 | 13 | 8 | 61:49 | 61 |
| სევილია | 37 | 17 | 9 | 11 | 44:39 | 60 |
| ესპანიოლი | 37 | 16 | 10 | 11 | 52:46 | 58 |
| ვალენსია | 37 | 13 | 16 | 8 | 53:39 | 55 |
| ბილბაო | 37 | 14 | 9 | 14 | 59:52 | 51 |
| სარაგოსა | 37 | 14 | 8 | 15 | 51:54 | 50 |
| დეპორტივო | 37 | 12 | 14 | 11 | 45:49 | 50 |
| ატლეტიკო | 37 | 13 | 10 | 14 | 38:32 | 49 |
| მალაგა | 37 | 14 | 6 | 17 | 38:48 | 48 |
| ხეტაფე | 37 | 12 | 10 | 15 | 36:44 | 46 |
| სოსიედადი | 37 | 13 | 7 | 17 | 47:56 | 46 |
| ოსასუნა | 37 | 12 | 10 | 15 | 47:64 | 46 |
| რასინგი | 37 | 11 | 8 | 18 | 40:58 | 41 |
| მალიორკა | 37 | 10 | 8 | 19 | 41:62 | 38 |
| ლევანტე | 37 | 9 | 10 | 18 | 38:54 | 37 |
| ალბასეტე | 37 | 6 | 10 | 21 | 33:56 | 28 |
| ნუმანსია | 37 | 6 | 10 | 21 | 29:60 | 28 |

**ამ უქმეებზე**, ინგლისის, გერმანიის და კიდევ სხვათა ჩემპიონატების დარად, 2004-2005 წლების პრიმერადივიზიონიც ისტორიას ჩაბარდება.

# ესპანეთი

*ლადო ხომერიკი*

## სრულდება ესე ამბავი...
## ADIOS შემოდგომამდე




შენთან განშორება ძალიან ძნელია... „ბილბაოს" პრეზიდენტმა ფერნანდო ლამიკიზმა (მარჯვნივ) „ბარსელონაში" მიმავალი სანტიაგო ეცკერო გამოიტირა

კარგა ხნის გაჩემპიონებული „ბარსელონა" ბასკურ „ანოეტაზე" იქაურ „სოსიედადს" შეერკინება. სტუმრებმა ჩემპიონობა ორი ტურით ადრე დაიბევეს, „სოსიედადი". კი სეგუნდადივიზიონში ჩაჩეხვას გადაურჩა და ამიტომაცაა, სატურნირო თვალსაზრისით მატჩის შედეგს არც ერთი გუნდისთვის მნიშვნელობა რომ არა აქვს. ეგაა, კამერუნელი სამუელ ეტოო უთუოდ ეცდება გოლების გატანას, რათა საუკეთესო ბომბარდირი გახდეს.

კატალონიელებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული რონალდინიო, ხოლო სოსიედადელები, ვალერი კარპინი და ბიტორ ალკისა უკანასკნელ შეხვედრას ჩაატარებენ თეთრცისფერი ფორმით — ისინი კარიერას ამთავრებენ. გარდა ამისა, თანამდებობას ემშვიდობება „სოსიედადის" პრეზიდენტიც.

„სარაგოსა" „რეალს" მასპინძლობს. დამხვდურებს არ ეყოლებათ ხენერელო და საპატერი, მომხვდურებს კი დევიდ ბექემი — სამივე დისკვალიფიცირებულია.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის მსურველი „ვილიარეალი" „ლევანტეს" მიიღებს. „ვილია" ახლა ცხრილში მესამეა, მიზნის მისაღწევად უეჭველი მოგება სჭირდება. ასევე მოგება უნდათ სტუმრებსაც, ოღონდ მათი პრიმერადივიზიონში დარჩენა „მალიორკას" შედეგზეცაა დამოკიდებული. „ლევანტეს" გადამეტებული ყვითლების გამო მცველი დიეგო კამაჩო არ ეყოლება.

ვალენსიელთა მთავარი მეტოქე „მალიორკა" კი „ბეტისთან" თამაშობს. თუ კუნძულელებმა ანდალუზიელებთან გაიმარჯვეს, პრიმერაში ადგილსაც გაინაღდებენ. მაგრამ სევილიელებთან სამი ქულის აღება რთული საქმეა — „თეთრ-მწვანეების" წაგების შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრის შანსი ეკარგებათ. „ბეტისის" შემადგენლობაში ტრავმირებული მეკარის, ტონი დობლასის თამაში საეჭვოა.

მეორე ანდალუზიური კლუბი „სევილია" ცხრილის შუაში მყარად ჩარჩენილ „მალაგას" მასპინძლობს. „სევილია" 60 ქულით ჯერ უეფაზეა, თუმცა ჩემპიონთა ლიგამდე ერთი ქულა აშორებს და, ცხადია, მალაგელებთან დიდი ბრძოლა იქნება.

„ესპანიოლი" საკუთარ „მონჟუიკზე" ბილბაოს „ატლეტიკს" დაუხვდება — მიგელ ანხელ ლოტინას ბიჭების მიზანიც, ცხადია, გამარჯვებაა, რადგან შემოდგომიდან პრესტიჟულ ლიგაში მოხვედრა მათაც სურთ. ოღონდ მათი სრული ბედნიერებისთვის „ბეტისმა" და „სევილიამ" თავიანთი თამაშები ვერ უნდა მოიგონ. „ბილბაოს" ასიერ დელ ორნო დისკვალიფიცირებულია. ბასკთა შემადგენლობაში ბოლოჯერ ითამაშებს სანტიაგო ეცკერო, რომელიც გაისად „ბარსელონაში" იბურთავებს.

კასტელონური „ალბასეტე" „რასინგს" გასპარისა და სანტი დენიას გარეშე შეხვდება, მადრიდის „ატლეტიკო" ფრანსისკო კოლინას მოისაკლისებს „ხეტაფესთან", ხოლო „ხეტაფე" კი რიკარდო ალბიოლის.



# ეიზელი 20 წლის წინ

დღეს 20 წელი შესრულდა „ეიზელის" ტრაგედიიდან. რამდენიმე დღის წინ „ლივერპულმა" ჩემპიონთა თასი მოიგო, გზად კი „იუვენტუსი" ჩამოიცილა. ერთი სიტყვით, სიმბოლოებით დატვირთული იუბილე გამოდის, თუმცა სიტყვა იუბილე, ამ ამბავს მაინცდამაინც არ უხდება.

წლიდან წლამდე ჩვენ ვიხსენებთ-ხოლმე „ეიზელის" ამბებს. ახლახან, როცა „ლიგის მეოთხედფინალში „ლივერპული" და „იუვენტუსი" შეხვდნენ, იმ ტრაგედიის თვითმხილველის, ლივერპულელთა დიდი მცველის ალან ჰანსენის მოგონებებიც შემოგთავაზეთ. დღეს კი გადავწყვიტეთ, არქივიდან ოცი წლის წინანდელი სტატიები ამოგველო და გაგვეხსენებინა, თუ რა დაიწერა ტრაგედიის მეორე დღეს.

ქვემოთ **BBC**-ის მაშინ გავრცელებულ ინფორმაციას და ყველაზე პოპულარული საბჭოური სპორტული გამოცემის, „ფუტბოლ-ჰოკეის" სტატიას შემოგთავაზებთ



## ეიზელზე არეულობისას ფანები დაიღუპნენ

**ბრიუსელში,** ევროპის თასის ფინალის დროს „იუვენტუსის" 39 გულშემატკივარი დაიღუპა.

ტრაგედია სტადიონის კედლის ჩამონგრევას მაშინ მოჰყვა, როცა იტალიელი ფანები „ლივერპულის" გულშემატკივრებისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. გულშემატკივართა ორმა სექტორმა თამაშის წინ მთელი დღე ბელგიის დედაქალაქის პაბებში გაატარა და სტადიონზე დროშების ფრიალით და სიმღერით მივიდნენ.

მაგრამ, თამაშის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე სიტუაცია დაიძაბა და „ლივერპულის" ფანებმა პოლიციის იმ ვიწრო ზოლს შეუტიეს, რომელიც მათ იტალიელი გულშემატკივრებისგან ჰყოფდა.

„იუვენტუსის" გულშემატკივრებმა გარიდება სცადეს, მაგრამ პანიკამ ჭყლეტა გამოიწვია და სტადიონის კედელიც ჩამოინგრა, რამაც ხალხის სიკვდილი გამოიწვია.

პოლიცია უძლური იყო, არეულობა თავიდან აეცილებინა და სიმშვიდის შენარჩუნებას ამაოდ ცდილობდა.

სტადიონზე 58 ათასი გულშემატკივარი იმყოფებოდა და დაღუპულთა გარდა, 350 ადამიანი დაშავდა.

ორივე გუნდის მენეჯერთა პროტესტის მიუხედავად, თამაში მაინც ჩატარდა და „იუვენტუსმა" მეორე ტაიმში გატანილი პენალტით 1:0 მოიგო.

**BBC 29 მაისი, 1985**

## ფეხბურთის დამარცხება

**მომხდარი,** ჩემპიონთა თასის აღსასრულს არ ნიშნავს, მაგრამ ფეხბურთმა მარცხი განიცადა — ეს უეფას პრეზიდენტის ჟაკ ჟორჟის სიტყვებია.

„იუვენტუსის" გამარჯვება სხვა კატასტროფულმა მოვლენებმა ჩაყლაპეს. ოფიციალური მონაცემებით, ორმოცამდე ადამიანი დაიღუპა ბრბოს ფეხებით გადათელვისას. ეს მატჩის წინ მოხდა, როცა ინგლისელმა და იტალიელმა გულშემატკივრებმა ერთმანეთში იჩხუბეს. უფრო ზუსტად, ეს ჩხუბი კი არა, სასაკლაო იყო, რომელიც „ლივერპულის" ხულიგანმა გულშემატკივრებმა მოაწყვეს.

მატჩის წინ, ჩემპიონთა თასის ფინალის მონაწილე გუნდების გულშემატკივრები ერთმანეთისგან მოშორებით სექტორებში დასვეს. ბილეთები შეგნებულად იყო ასე განაწილებული. მაგრამ მოულოდნელად, ინგლისელთათვის განკუთვნილ ერთ-ერთ სექტორში იტალიელი გულშემატკივრები შეიჭრნენ.

უეფას პრეზიდენტის ინფორმაციით, ეს გაუგებრობა იმან გამოიწვია, რომ ბელგიელ გულშემატკივართა ნაწილმა თავისი ბილეთები იტალიელებს მიჰყიდა და იტალიელებიც, ამგვარად, ინგლისელების გვერდით აღმოჩნდნენ. თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სწორედ ამ სექტორში ატყდა ჩხუბი.

იტალიელებმა გაქცევა სცადეს, მაგრამ ბეტონის დამცავი კედელი ჩამოინგრა, მასზე აცოცებული გულშემატკივრები ჩამოვარდნენ, დანარჩენებმა კი ისინი გადათელეს.

უეფას მიერ მატჩის დასრულებისთანავე გამოქვეყნებულ კომუნიკეში წერია, რომ მატჩის გადადება უფრო დიდი არეულობის საბაბი შეიძლებოდა გამხდარიყო და ამიტომ მისი გამართვა მაინც გადაწყდა.

სააგენტოები იუწყებიან, რომ ტრაგიკული ინციდენტის გათვალისწინება შეუძლებელი იყო, რადგან წინა ორი დღის განმავლობაში, ბრიუსელში ჩასული ინგლისელი და იტალიელი გულშემატკივრები ერთმანეთისადმი აგრესიას არ ავლენდნენ. მეტიც, ფოტოებსაც ერთად იღებდნენ და სუვენირებსაც ცვლიდნენ.

მატჩის დღესაც თავიდან ყველაფერი წესრიგში იყო. ფინალამდე სტადიონზე მოსწავლეთა გუნდების თამაში გაიმართა და ორივე ბანაკის გულშემატკივრები მშვიდად უყურებდნენ ბავშვების თამაშს.

და ამ დროს, ფინალის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ტრაგედია დატრიალდა.

მატჩი 90 წუთით გადაიდო. უეფას ხელმძღვანელები და გუნდების წარმომადგენლები მატჩის ჩატარების შესაძლებლობაზე მსჯელობდნენ. ამ დროს ტრიბუნებზე პოლიციის მაშველთა ბრიგადები დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენას ცდილობდნენ. დაღუპულები მოედანზე გადაჰყავდათ, ხალხი კი ამას ტრიბუნებიდან უყურებდა.

ორივე გუნდის ფეხბურთელებს მატჩის დაყოვნების მიზეზი უთხრეს. მიშელ პლატინიმ, ვინც „იუვენტუსში" თამაშობს და ამ მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა პენალტით, თქვა: „ჩვენ შეგვატყობინეს ტრაგედიის შესახებ. მე ვფიქრობდი, რომ თამაში აღარ ჩატარდებოდა. უშუალოდ თამაშის დროს, ჩვენ თითქოს დაგვავიწყდა ტრაგედია, მაგრამ დასრულების მერე ყველანი დათრგუნული და ნაღვლიანი ვიყავით."

უეფას რჩევით, როცა ბელგიელი პოლიციელები დაჭრილთა გადარჩენას ცდილობდნენ, „ლივერპულის" და „იუვენტუსის" ფეხბურთელები, ნილი და კაბრინი მოედანზე გავიდნენ და სტადიონის რადიოთი გულშემატკივრებს წესრიგისკენ მოუწოდეს.

**ო. სმოლევი**

**ფუტბოლ-ჰოკეი**

**2 ივნისი, 1985**

*საბჭოურ გამოცემაში ჩემპიონთა თასის ტრაგიკული ფინალის მიმოხილვა მე-15 გვერდზე დაიბეჭდა.*

სარბიელი და კროკი
წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. ჩემპიონატი
**30 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 547 | ვესტ ჰემი-პრესტონი | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |

### ინგლისი. I ლიგა
**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 548 | ჰარტლპული-შეფილდი | 3.0 | 3.2 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |

### ინგლისი. II ლიგა
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 549 | საუთენდი-ლინკოლნი | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 1 | არმინია(მ)-მიუნსტერი | 4.5 | 3.5 | 1.6 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| 16:00 | 2 | დორტმუნდი(მ)-ვერდერი(მ) | 2.1 | 3.4 | 2.75 | 1.29 | 1.19 | 1.52 |
| 16:00 | 3 | დიუსელდორფი-ქემნიცი | 2.25 | 3.3 | 2.6 | 1.33 | 1.2 | 1.45 |
| 16:00 | 4 | ჰამბურგი(მ)-ჰერტა(მ) | 2.75 | 3.4 | 2.1 | 1.52 | 1.19 | 1.29 |
| 16:00 | 5 | კიოლნი(მ)-კილი | 1.8 | 3.4 | 3.6 | 1.17 | 1.2 | 1.74 |
| 16:00 | 6 | ოსნაბრიუკი-ვუპერტალი | 1.4 | 4.1 | 5.8 | 1.04 | 1.12 | 2.4 |
| 16:00 | 7 | პადერბორნი-ბრაუნშვაიგი | 1.9 | 3.3 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.64 |
| 16:00 | 9 | უნიონი-ვოლფსბურგი(მ) | 2.15 | 3.4 | 2.7 | 1.31 | 1.19 | 1.5 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 11 | ელვერსბერგი-ფულენდორფი | 2.4 | 3.2 | 2.5 | 1.37 | 1.22 | 1.4 |
| 16:30 | 13 | ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი(მ) | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა
**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 24 | აუსტრია-ადმირა | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 17:30 | 25 | გრაცერი-რაპიდი | 1.8 | 3.4 | 3.8 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 17:30 | 26 | მატერსბურგი-შტურმი | 1.9 | 3.1 | 3.8 | 1.17 | 1.26 | 1.7 |
| 17:30 | 27 | პაშინგი-ტიროლი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 17:30 | 28 | ზალცბურგი-ბრეგენცი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |

### შვეიცარია. სუპერლიგა
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 43 | ბაზელი-ქსამაქსი | 1.35 | 4.3 | 6.5 | 1.02 | 1.11 | 2.58 |

**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:15 | 40 | სტ.გალენი-გრასჰოპერი | 4.2 | 2.8 | 1.9 | 1.67 | 1.3 | 1.13 |
| 18:15 | 41 | იანგ ბოიზი-შაფჰაუზენი | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 18:15 | 42 | ციურიხი-აარაუ | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |

### შვეიცარია. ჩელენჯლიგა
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 45 | ბადენი-ვოლენი | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 21:30 | 47 | კიასო-ვადუცი | 2.25 | 3.3 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 19:30 | 48 | შო დე ფონი-კონკორდია | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 21:30 | 49 | ლუგანო-მეირინი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 21:30 | 51 | სიონი-კრინსი | 1.35 | 4.5 | 6.0 | 1.03 | 1.1 | 2.57 |
| 19:30 | 52 | ვილი-ბელინცონა | 2.35 | 3.2 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |

### იტალია. სერია A
**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 54 | ბოლონია-სამპდორია | 1.75 | 4.1 | 3.4 | 1.22 | 1.15 | 1.85 |
| 17:00 | 55 | ფიორენტინა-ბრეშა | 1.65 | 3.9 | 4.0 | 1.15 | 1.16 | 1.97 |
| 17:00 | 56 | ინტერი-რეჯინა | 1.7 | 2.3 | 9.0 | 1.0 | 1.42 | 1.83 |
| 17:00 | 58 | იუვენტუსი-კალიარი | 1.35 | 3.6 | 10.0 | 1.0 | 1.18 | 2.64 |
| 17:00 | 60 | ლეჩე-პარმა | 5.5 | 2.8 | 1.7 | 1.85 | 1.29 | 1.05 |
| 17:00 | 62 | პალერმო-ლაციო | 4.5 | 1.4 | 5.0 | 1.06 | 2.36 | 1.09 |
| 17:00 | 63 | რომა-კიევო | 4.6 | 1.8 | 2.8 | 1.29 | 1.74 | 1.09 |
| 17:00 | 65 | უდინეზე-მილანი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |

### იტალია. სერია B
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 69 | ასკოლი-პერუჯა | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 22:30 | 70 | ბარი-პესკარა | 1.95 | 2.3 | 5.0 | 1.05 | 1.4 | 1.57 |
| 22:30 | 71 | კატანია-მოდენა | 2.95 | 2.6 | 2.25 | 1.38 | 1.27 | 1.2 |
| 22:30 | 72 | კროტონე-პიაჩენცა | 1.85 | 3.3 | 3.4 | 1.18 | 1.19 | 1.67 |
| 22:30 | 73 | ტერნანა-ტორინო | 3.6 | 2.6 | 2.05 | 1.5 | 1.3 | 1.14 |
| 22:30 | 75 | ტრიესტინა-ვიჩენცა | 1.95 | 2.6 | 4.2 | 1.11 | 1.33 | 1.6 |
| 22:30 | 76 | ვერონა-სალერნიტანა | 1.85 | 2.6 | 4.7 | 1.08 | 1.32 | 1.67 |

### ესპანეთი. I დივიზიონი
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 83 | სოსიედადი-ბარსელონა | 3.1 | 3.3 | 2.1 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 23:00 | 87 | სარაგოსა-რეალი | 2.85 | 3.2 | 2.25 | 1.5 | 1.25 | 1.32 |

**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 77 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.8 | 3.3 | 3.9 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 23:00 | 78 | ესპანიოლი-ბილბაო | 1.55 | 3.6 | 5.5 | 1.08 | 1.2 | 2.17 |
| 23:00 | 79 | მალიორკა-ბეტისი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 23:00 | 80 | ნუმანსია-დეპორტივო | 2.55 | 3.3 | 2.5 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 21:00 | 81 | რასინგი-ალბასეტე | 1.7 | 3.6 | 4.5 | 1.15 | 1.23 | 2.0 |
| 23:00 | 82 | სევილია-მალაგა | 1.35 | 4.5 | 7.5 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 23:00 | 84 | ვალენსია-ოსასუნა | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 23:00 | 85 | ვილიარეალი-ლევანტე | 1.45 | 4.1 | 5.8 | 1.07 | 1.15 | 2.4 |

### ესპანეთი. II დივიზიონი
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 89 | ალავესი-კორდობა | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 23:30 | 91 | სელტა-ტერასა | 1.55 | 3.4 | 5.5 | 1.06 | 1.2 | 2.1 |
| 21:00 | 93 | სპორტინგი-ლეიდა | 2.0 | 2.8 | 3.8 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 21:00 | 95 | მალაგა ბ-ტენერიფე | 2.05 | 2.8 | 3.6 | 1.18 | 1.3 | 1.57 |
| 22:30 | 96 | მურსია-სერესი | 2.1 | 2.7 | 3.8 | 1.18 | 1.35 | 1.57 |

**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 90 | კადისი-სიუდადი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 20:00 | 92 | ფეროლი-პონტევედრა | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 21:00 | 94 | ტარაგონა-ალმერია | 2.5 | 2.8 | 2.8 | 1.32 | 1.32 | 1.39 |
| 20:00 | 97 | ეხიდო-ელჩე | 1.9 | 3.0 | 4.0 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 14:00 | 98 | უელვა-ეიბარი | 2.1 | 2.8 | 3.45 | 1.2 | 1.3 | 1.54 |
| 20:00 | 99 | სალამანკა-ვალიადოლიდი | 1.85 | 3.1 | 4.0 | 1.15 | 1.26 | 1.74 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 100 | აიაჩო-სოშო | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:00 | 101 | ოსერი-ლილი | 2.6 | 2.9 | 2.65 | 1.37 | 1.31 | 1.38 |
| 22:00 | 102 | ბორდო-მარსელი | 2.4 | 2.7 | 3.2 | 1.27 | 1.37 | 1.46 |
| 22:00 | 103 | ისტრი-კაენი | 4.8 | 3.5 | 1.6 | 2.02 | 1.2 | 1.09 |
| 22:00 | 104 | ლანსი-ტულუზი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:00 | 105 | ლიონი-ნიცა | 1.4 | 3.9 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 22:00 | 107 | მონაკო-სტ.ეტიენი | 1.6 | 3.6 | 4.8 | 1.1 | 1.2 | 2.05 |
| 22:00 | 108 | ნანტი-მეცი | 1.65 | 3.5 | 4.8 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 22:00 | 109 | პსჟ-რენი | 2.45 | 2.9 | 2.8 | 1.32 | 1.3 | 1.42 |
| 22:00 | 110 | სტრასბური-ბასტია | 3.0 | 3.4 | 2.1 | 1.59 | 1.23 | 1.29 |

### ბელგია. II დივიზიონი
**29 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 123 | ვაასლანდი-ანტვერპენი | 2.65 | 3.2 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 124 | გეელი-რუზელარე | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |

### თურქეთი
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 135 | ისთანბული-ტრაბზონი | 9.0 | 4.6 | 1.25 | 3.04 | 1.09 | 1.0 |
| 17:00 | 137 | კაისერი-ანკარა | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 17:30 | 141 | რიზე-ანკარაგიუჯიუ | 1.75 | 3.3 | 3.9 | 1.14 | 1.2 | 1.78 |
| 17:30 | 143 | სებათი-ბეშიქთაში | 5.5 | 3.7 | 1.45 | 2.21 | 1.14 | 1.04 |
| 20:00 | 144 | გალათასარაი-დენიზლი | 1.2 | 5.5 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.41 |
| 17:30 | 145 | გენჩლერი-გაზიანთეფი | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |

### რუსეთი
**28 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 146 | ალანია-როსტოვი | 1.85 | 3.0 | 4.2 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 15:00 | 148 | კრილია-სპარტაკი | 2.7 | 2.8 | 2.6 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| 14:00 | 149 | ლოკომოტივი-დინამო | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 150 | ტერეკი-ამკარი | 1.85 | 3.1 | 4.0 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 15:00 | 151 | ტომსკი-რუბინი | 2.15 | 2.9 | 3.2 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 15:00 | 152 | ტორპედო-შინიკი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 15:00 | 153 | ზენიტი-სატურნი | 1.65 | 3.3 | 4.6 | 1.1 | 1.21 | 1.92 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 16:25 | 171 | სიგმა-დრნოვიცე | 1.3 | 4.5 | 7.0 | 1.0 | 1.09 | 2.73 |
| 16:25 | 172 | ბრნო-იაბლონეცი | 2.1 | 3.0 | 3.3 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 16:25 | 173 | ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 1.3 | 4.6 | 7.5 | 1.01 | 1.1 | 2.85 |
| 16:25 | 174 | ბოლესლავი-სლოვაცკო | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 16:25 | 175 | ბანიკი-სლავია | 4.5 | 3.5 | 1.6 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| 16:25 | 176 | პრჟიბრამი-ბლშანი | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 16:25 | 177 | სპარტა-ტეპლიცე | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 16:25 | 178 | ზლინი-ოპავა | 1.5 | 3.9 | 5.0 | 1.08 | 1.15 | 2.19 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 184 | პეტრჟალკა-პუხოვი | 1.35 | 4.3 | 6.5 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| 19:30 | 185 | ბ.ბისტრიცა-დუბნიცა | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 19:30 | 186 | ინტერი-ტრენჩინი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 19:30 | 187 | ტრნავა-სობოტა | 1.7 | 3.3 | 4.3 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 19:30 | 188 | ჟილინა-რუჟომბეროკი | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 189 | ზაგრები-სლავენი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 19:00 | 190 | რიეკა-ინტერი | 2.45 | 3.3 | 2.4 | 1.4 | 1.21 | 1.38 |
| 19:00 | 191 | ჰაიდუკი-ვარტექსი | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 203 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 204 | ორჰუსი-ვიბორგი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 17:00 | 205 | ესბიერგი-ოდენსე | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 17:00 | 206 | ნორდსიელანდი-რანდერსი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 17:00 | 207 | ჰერფიოლგე-სილკებორგი | 2.4 | 3.2 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 19:30 | 208 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2.65 | 3.2 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 209 | ჰელერუპი-ჰორსენსი | 3.5 | 3.4 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 17:00 | 210 | სკიოლდი-ბრიონსჰიოი | 1.65 | 3.8 | 4.0 | 1.15 | 1.16 | 1.94 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 15:00 | 211 | ფრედერისია-ბ 93 | 1.6 | 3.7 | 4.5 | 1.11 | 1.18 | 2.03 |
| 15:00 | 212 | ფრემი-აკადემისკი | 1.5 | 3.8 | 5.2 | 1.07 | 1.16 | 2.19 |
| 15:00 | 213 | ფრემადი-დალუმი | 1.75 | 3.7 | 3.7 | 1.18 | 1.18 | 1.85 |
| 17:00 | 214 | ნესტვედი-იოლსტიკე | 2.4 | 3.6 | 2.34 | 1.44 | 1.18 | 1.41 |
| 17:00 | 215 | სიონდერიისკე-კიოგე | 1.75 | 3.7 | 3.6 | 1.18 | 1.17 | 1.82 |
| 17:00 | 216 | ვეილე-ნიკიობინგი | 1.9 | 3.8 | 3.2 | 1.26 | 1.19 | 1.73 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 218 | ალესუნდი-ფრედრიკსტადი | 2.45 | 3.1 | 2.7 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| 20:00 | 219 | ჰამარი-ვიკინგი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 20:00 | 220 | მოლდე-ბოდიო გლიმტი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 221 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 3.8 | 3.4 | 1.8 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 20:00 | 222 | ტრომსიო-ლილესტრიომი | 2.35 | 3.3 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 22:05 | 223 | ბრანი-ლინი | 1.95 | 3.4 | 3.5 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 224 | ვოლერენგა-სტარტი | 1.8 | 3.4 | 4.2 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 225 | სოგნდალი-ალტა | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 226 | ტონსბერგი-მოსი | 2.0 | 3.8 | 2.8 | 1.31 | 1.16 | 1.61 |
| 20:00 | 227 | ფოლო-სტრიომსგოდსეტი | 2.45 | 3.7 | 2.25 | 1.47 | 1.17 | 1.39 |
| 20:00 | 228 | ჰოდი-სტაბეკი | 3.4 | 4.0 | 1.8 | 1.83 | 1.17 | 1.24 |
| 20:00 | 229 | კონგსვინგერი-ბრინი | 2.45 | 3.7 | 2.35 | 1.47 | 1.19 | 1.43 |
| 20:00 | 230 | მანდალი-ჰიონეფოსი | 2.05 | 4.0 | 2.7 | 1.35 | 1.16 | 1.61 |
| 20:00 | 231 | სანდეფიორდი-ლოვ ჰამი | 1.25 | 6.0 | 8.0 | 1.03 | 1.08 | 3.42 |
| 20:00 | 232 | სკეიდი-ჰორს გრენლანდი | 2.05 | 4.0 | 2.7 | 1.35 | 1.16 | 1.61 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 237 | ასირისკა-სუნდსვალი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 238 | გეფლე-ჰალმსტადი | 3.6 | 3.4 | 1.9 | 1.74 | 1.24 | 1.21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 239 | მალმიო-იორგრიტე | 1.45 | 4.0 | 6.0 | 1.06 | 1.16 | 2.4 |
| 19:15 | 240 | კალმარი-იურგორდენი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 241 | ლანდსკრონა-ჰელსინგბორგი | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 21:00 | 242 | გიოტებორგი-ელფსბორგი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 21:00 | 243 | ჰამარბი-ჰეკენი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 252 | ფრიოლუნდა-ვესტეროსი | 2.1 | 3.3 | 2.9 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 253 | ბოდენსი-ტრელებორგი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 18:00 | 254 | იორებრო-აიკ | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 255 | მიალბი-დეგერფორსი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 19:00 | 256 | გაის-ფალკენბერგი | 1.45 | 4.2 | 5.3 | 1.07 | 1.13 | 2.34 |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 257 | ატვიდაბერგი-იოსტერსი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 21:05 | 258 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 2.6 | 3.3 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 261 | ინტერი-ჰიკ | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 262 | ჰაკა-იარო | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| 20:00 | 263 | ლაჰტი-კტპ | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| 20:00 | 264 | მარიეჰამნი-ტამპერე | 2.9 | 3.2 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 20:00 | 265 | მიუპა-კუოპიო | 1.4 | 3.9 | 6.2 | 1.03 | 1.14 | 2.39 |
| 20:00 | 266 | როვანიემი-ტპ 47 | 2.15 | 3.3 | 2.85 | 1.3 | 1.22 | 1.52 |
| 20:00 | 267 | ტურკუ-ალიანსი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 273 | ჰერპსი-ბრეი | 2.35 | 3.0 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 285 | ვაშინგტონი-დალასი | 2.35 | 3.0 | 2.65 | 1.31 | 1.24 | 1.4 |
| 23:45 | 286 | კოლამბუსი-ნიუ იორკი | 2.2 | 3.2 | 2.75 | 1.3 | 1.22 | 1.47 |
| 23:45 | 287 | ნიუ ინგლენდი-კოლორადო | 1.5 | 3.4 | 5.8 | 1.04 | 1.19 | 2.14 |
| 23:45 | 288 | კანზასი-სან ხოსე | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 23:45 | 289 | სოლტ ლეიკი-ჩიკაგო | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 293 | არსენალი-ოლიმპო | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 23:45 | 294 | ბანფილდი-როსარიო | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 23:10 | 298 | ნიუელსი-სან ლორენსო | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 292 | არგენტინოს ხუნიორსი-ველესი | 3.4 | 3.3 | 1.9 | 1.67 | 1.21 | 1.2 |
| 22:30 | 295 | კოლონი-ურაკანი | 1.3 | 4.2 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.75 |
| 23:10 | 296 | ესტუდიანტესი-ბოკა ხუნიორსი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 22:30 | 299 | კილმესი-ლანუსი | 2.2 | 3.3 | 2.65 | 1.32 | 1.2 | 1.46 |
| 22:30 | 300 | რასინგი-ალმაგრო | 1.25 | 4.8 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.0 |
| 23:45 | 301 | რივერ პლეიტი-ხიმნასია | 1.5 | 3.5 | 5.6 | 1.04 | 1.18 | 2.15 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 302 | პაისანდუ-გოიასი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 304 | ფიგეირენსე-სან კაეტანო | 2.3 | 3.2 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 23:45 | 306 | სან პაულუ-კრუზეირო | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 303 | ბრაზილენსე-პარანა | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 23:00 | 305 | პონტე პრეტა-ვასკუ და გამა | 1.75 | 3.5 | 3.8 | 1.16 | 1.19 | 1.82 |
| 23:00 | 307 | ფლამენგო-ფლუმინენსე | 2.5 | 3.2 | 2.4 | 1.4 | 1.22 | 1.37 |
| 23:00 | 308 | ატლეტიკო მნ-კორინთიანსი | 2.2 | 3.2 | 2.75 | 1.3 | 1.22 | 1.47 |
| 23:45 | 309 | ბოტაფოგო-ატლეტიკო პრ | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 23:00 | 310 | პალმეირასი-სანტოსი | 2.5 | 3.2 | 2.4 | 1.4 | 1.22 | 1.37 |
| 23:45 | 311 | კურიტიბა-ჟუვენტუდი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 312 | ინტერნასიონალი-ფორტალესა | 1.5 | 3.6 | 5.5 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 324 | კობრესალი-უნ.ჩილე | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 325 | კოლო კოლო-მელიპილა | 1.3 | 4.3 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.73 |
| 23:45 | 326 | კოკიმბო-უონდერერსი | 1.8 | 3.4 | 3.8 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 23:45 | 327 | ევერტონი-ხერენა | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 322 | აუდაქსი-სან ფელიპე | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| 23:45 | 323 | კობრელოა-პუერტო მონტი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 328 | რეინჯერსი-უნ.კატოლიკა | 2.4 | 3.3 | 2.45 | 1.38 | 1.21 | 1.4 |
| 23:45 | 330 | კონსეპსიონი-პალესტინო | 1.55 | 3.4 | 5.2 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 23:45 | 331 | უნ.ესპანიოლა-უაჩიპატო | 1.75 | 3.3 | 3.9 | 1.14 | 1.2 | 1.78 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 333 | შალკე-ბაიერნი | 3.5 | 3.3 | 1.9 | 1.69 | 1.23 | 1.2 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 334 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1.2 | 5.0 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.43 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 335 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 336 | პსვ-ტილბურგი | 1.35 | 4.5 | 6.5 | 1.03 | 1.11 | 2.65 |
| | | **პორტუგალია. თასი** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 337 | ბენფიკა-სეტუბალი | 1.5 | 3.6 | 5.5 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 16:00 | 360 | ცსკა-ხიმკი | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| | | **იაპონიის თასი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 8:30 | 274 | ნაგოია-კაშიმა | 2.6 | 3.0 | 2.45 | 1.39 | 1.26 | 1.34 |
| 9:00 | 275 | გამბა-კავასაკი | 1.65 | 3.3 | 4.3 | 1.1 | 1.19 | 1.86 |
| 10:00 | 276 | ნიიგატა-ომია | 2.1 | 3.0 | 3.2 | 1.23 | 1.26 | 1.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10:00 | 277 | კაშივა-იჩიჰარა | 2.6 | 3.0 | 2.45 | 1.39 | [illegible] | [illegible] |
| 10:00 | 278 | ოიტა-ტოკიო | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | [illegible] | [illegible] |
| 10:00 | 279 | შიმიცუ-ჩერეძო | 2.0 | 3.0 | 3.4 | 1.2 | 1.25 | 1.59 |
| 11:00 | 280 | ურავა-კობე | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | [illegible] |
| 14:00 | 281 | ვერდი-ჰიროსიმა | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | [illegible] |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 361 | სან ანტონიო-ფენიქსი | 1.4 | 12.0 | 3.0 | 1.25 | 1.0 | [illegible] |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 362 | დეტროიტი-მაიამი | 1.45 | 12.0 | 2.85 | 1.29 | 1.0 | [illegible] |

**ჩოგბურთი.კაცები Roland Garros**
**28 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 642 | ანდრეევი-კიფერი | 1.6 | [illegible] |
| 13:00 | 643 | დავიდენკო-ჰაასი | 1.6 | [illegible] |
| 13:00 | 644 | კანასი-მატი | 1.35 | [illegible] |
| 13:00 | 645 | კორია-მელცერი | 1.08 | 5.5 |
| 13:00 | 646 | პუერტა-ვავრინკა | 1.35 | [illegible] |
| 13:00 | 647 | რობრედო-სანჩესი | 1.25 | [illegible] |
| 13:00 | 648 | ვოლანდრი-აკასუსო | 1.6 | 1.95 |
| 13:00 | 649 | ფერერო-საფინი | 1.65 | [illegible] |

**ჩოგბურთი.ქალები Roland Garros**
**28 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 635 | პეტროვა-პირი | 1.15 | [illegible] |
| 13:00 | 636 | ენინი-შედინა | 1.15 | [illegible] |
| 13:00 | 637 | გოლოვინი-ბოვინა | 1.65 | [illegible] |
| 13:00 | 638 | დეში-ლაგოსტერა | 1.3 | [illegible] |
| 13:00 | 639 | კუზნეცოვა-ირვინი | 1.1 | 5.5 |
| 13:00 | 640 | მორესმო-ივანოვიჩი | 1.12 | [illegible] |
| 13:00 | 641 | სკიავონი-გრენეფელდი | 1.45 | [illegible] |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | ლუწი | კენტი |
|---|---|---|
| 17054 ბოლონია-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17055 ფიორენტინა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17058 იუვენტუსი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17060 ლეჩე-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17077 ატლეტიკო-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17078 ესპანიოლი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17079 მალიორკა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17080 ნუმანსია-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17081 რასინგი-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17083 სოსიედადი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17087 სარაგოსა-რეალი | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14054 ბოლონია-სამპდორია | 1.6 | 2.1 |
| 14055 ფიორენტინა-ბრეშა | 1.45 | 2.3 |
| 14060 ლეჩე-პარმა | 2.1 | 1.45 |
| 14077 ატლეტიკო-ხეტაფე | 1.5 | 2.3 |
| 14078 ესპანიოლი-ბილბაო | 1.45 | 2.4 |
| 14079 მალიორკა-ბეტისი | 1.8 | 1.9 |
| 14080 ნუმანსია-დეპორტივო | 1.9 | 1.8 |
| 14081 რასინგი-ალბასეტე | 1.45 | 2.4 |
| 14083 სოსიედადი-ბარსელონა | 2.1 | 1.6 |
| 14087 სარაგოსა-რეალი | 2.2 | 1.7 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 12054 ბოლონია-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 12055 ფიორენტინა-ბრეშა | 1.9 | 1.7 |
| 12058 იუვენტუსი-კალიარი | 2.1 | 1.5 |
| 12060 ლეჩე-პარმა | 2.1 | 1.5 |
| 12077 ატლეტიკო-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12078 ესპანიოლი-ბილბაო | 1.9 | 1.7 |
| 12079 მალიორკა-ბეტისი | 2.0 | 1.6 |
| 12080 ნუმანსია-დეპორტივო | 1.9 | 1.7 |
| 12081 რასინგი-ალბასეტე | 1.9 | 1.7 |
| 12083 სოსიედადი-ბარსელონა | 1.9 | 1.7 |
| 12087 სარაგოსა-რეალი | 1.9 | 1.7 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15054 ბოლონია-სამპდორია | 3.0 | 2.8 | [illegible] |
| 15055 ფიორენტინა-ბრეშა | 3.0 | 2.8 | [illegible] |
| 15058 იუვენტუსი-კალიარი | 3.0 | 2.8 | [illegible] |
| 15060 ლეჩე-პარმა | 3.0 | 2.8 | [illegible] |
| 15077 ატლეტიკო-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | [illegible] |
| 15078 ესპანიოლი-ბილბაო | 3.0 | 2.8 | [illegible] |
| 15079 მალიორკა-ბეტისი | 3.0 | 2.8 | [illegible] |
| 15080 ნუმანსია-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | [illegible] |
| 15081 რასინგი-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | [illegible] |
| 15083 სოსიედადი-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | [illegible] |
| 15087 სარაგოსა-რეალი | 3.0 | 2.8 | [illegible] |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13054 ბოლონია-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13055 ფიორენტინა-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13058 იუვენტუსი-კალიარი | 1.6 | 2.0 |
| 13060 ლეჩე-პარმა | 1.6 | 2.0 |
| 13077 ატლეტიკო-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13078 ესპანიოლი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13079 მალიორკა-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13080 ნუმანსია-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13081 რასინგი-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13083 სოსიედადი-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 13087 სარაგოსა-რეალი | 1.7 | 1.9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11054 ბოლონია-სამპდორია | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 8.0 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11055 ფიორენტინა-ბრეშა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11060 ლეჩე-პარმა | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11077 ატლეტიკო-ხეტაფე | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11078 ესპანიოლი-ბილბაო | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 8.5 | 20.0 | 10.0 | 7.5 |
| 11079 მალიორკა-ბეტისი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.5 |
| 11080 ნუმანსია-დეპორტივო | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.5 |
| 11081 რასინგი-ალბასეტე | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.5 | 8.5 | 20.0 | 10.0 | 7.5 |
| 11083 სოსიედადი-ბარსელონა | 5.0 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11087 სარაგოსა-რეალი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.2 |

# I ტაიმის შედეგი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10054 ბოლონია-სამპდორია | 2.1 | 2.1 | 3.9 | 1.04 | 1.36 | 1.36 |
| 10055 ფიორენტინა-ბრეშა | 1.9 | 2.2 | 4.0 | 1.01 | 1.28 | 1.41 |
| 10058 იუვენტუსი-კალიარი | 1.55 | 2.4 | 5.0 | 1.0 | 1.18 | 1.62 |
| 10077 ატლეტიკო-ხეტაფე | 2.3 | 2.1 | 4.4 | 1.09 | 1.51 | 1.42 |
| 10078 ესპანიოლი-ბილბაო | 2.0 | 2.1 | 5.0 | 1.02 | 1.42 | 1.47 |
| 10079 მალიორკა-ბეტისი | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10080 ნუმანსია-დეპორტივო | 3.1 | 2.0 | 2.9 | 1.21 | 1.49 | 1.18 |
| 10081 რასინგი-ალბასეტე | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10087 სარაგოსა-რეალი | 3.2 | 2.1 | 2.9 | 1.26 | 1.52 | 1.21 |



აბდულა ტანგრიევი



რევაზ ციდირიდისი (მარცხნივ)

# საგარეჯომ ლეგიონი შემოიკრიბა

**მეოთხე დღეა, ძიუდოს კლუბი „საგარეჯო“ ევროპის საკლუბო ჩემპიონატისთვის თბილისში ემზადება. შეკრება კიდევ ოთხ დღეს გასტანს, 1 ივნისს კი შოთა ხაბარელის სამნყსო გერმანიაში გაემგზავრება, სადაც პირველ ეტაპზე იქაურ „აბენსბერგს“ დაეჭიდება.**

**თვეების** წინ შექმნილი ქართული გუნდის მიზანი, ცხადია, პირველსავე სეზონში ევროპაში უძლიერესის სახელის მოპოვებაა. ამაზე შემადგენლობაც მეტყველებს. საქართველოს ნაკრების ყველა უძლიერესი ძიუდოისტის მხარდამხარ სამი ძლიერი ლეგიონერიც იბრძოლებს. ბერძენი რევაზ ციდირიდისი (იქაური მოქალაქეობის მიღებამდე რუსლან ვედენიძე 60კგ) და მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი უზბეკი მძიმეწონოსანი აბდულა ტანგრიევი უკვე თბილისში არიან და „საგარეჯოსთან“ ერთად დღეში ორჯერ ვარჯიშობენ, ხოლო ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური 90კგ) გუნდს გერმანიაში შეუერთდება.

გუშინ „საგარეჯომ“ ვაკის საჭიდაო დარბაზს მხოლოდ ერთხელ, დილით მიაკითხა და დაახლოებით საათნახევარი ივარჯიშა. საგერმანიოდ შემზადებულებს სპარინგობას პერსპექტიული ძიუდოისტები, მოზარდი საგარეჯოელები უწევდნენ.

თვალში გიგანტი მძიმეწონოსანი ზვიად ხანჯალიაშვილი გვხვდა. უმძიმესი ტრავმის და რამდენიმე ოპერაციის შემდეგ ფეხი საბოლოოდ მოურჩენია და ძველი ფორმის აღსადგენად ვარჯიშიც დაუწყია. ნაკრების მთავარი ექიმ ზურაბ კახაბრიშვილის თქმით, ხანჯალიაშვილის ტატამზე დაბრუნება არცთუ შორეული პერსპექტივაა.

კახაბრიშვილს საგარეჯოელთა ტრავმების შესახებაც დავეკითხეთ და დაგვამშვიდა, მცირე დაზიანებების მიუხედავად, გერმანიაში არავინ დაგვაკლდება. შედარებით მძიმეა ჯარჯი ზვიადაურის მდგომარეობა.

„მენისკის ოპერაციის შემდეგ ვარჯიში იძულებით ადრე განაახლა, ნაოპერაციევი გაიმიზეზა — გვეუბნება კახაბრიშვილი — პირველადი დახმარება პირადად გავუწიე. ახლა კი საბერძნეთში მკურნალობს და 4 ივნისამდე სრულ ჯანმრთელობასაც მიაღწევს“.

ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ჯარჯი ზვიადაური მისთვის ჩვეული 81 კილოგრამის ნაცვლად ერთი წონით მაღლა, 90 კილოგრამში იჭიდავებს. მისი ბიძაშვილი, ასევე ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბი კი პირველი წრის შეხვედრას „აბენსბერგის“ ხელმძღვანელობის კატეგორიული მოთხოვნით გამოტოვებს.

„მოგეხსენებათ, ბოლო წლებში გერმანული კლუბის სახლით გამოვდიოდი და იგი „საგარეჯოს“ შექმნის გამო დავტოვე — ამბობს ზვიადაური — რა თქმა უნდა, ამას „აბენსბერგის“ თავკაცების აღშფოთება მოჰყვა, რადგან კონტრაქტის თანახმად 2005 წლის ბოლომდე მათთან უნდა დავრჩენილიყავი, თუმც საბოლოოდ მაინც დავიყოლიეთ. კენჭისყრის შემდეგ პრობლემამ ისევ იჩინა თავი. „საგარეჯო“ „აბენსბერგს“ დაუპირისპირდა და გერმანელებმაც კატეგორიულად მოითხოვეს, მათ წინააღმდეგ არ ვიჭიდავო, სხვებთან კი ხელს ნამდვილად არ შემიშლიან“.

გერმანული ბარიერის გადალახვის შემთხვევაში ქართულ კლუბს მეორე წრის შეხვედრაც 4 ივნისს მოუწევს და თუ იქაც მოიგო, საშემოდგომო ნახევარფინალს უწევს.



შოთა ხაბარელი

***

*ნავარჯიშევს* ლეგიონერებს გამოველაპარაკეთ. პირველად ტანგრიევი მოვიხელთეთ:

**— საქართველოში აქამდეც ყოფილხარ?**

— თქვენს ქვეყანაში პირველად ვარ. ორი დღეა, ჩამოვედი და უკვე იმხელა შთაბეჭდილება მივიღე, ბევრი კარგის თქმა შემიძლია. ყველაზე მთავარი თქვენი სტუმართმოყვარეობაა. კეთილგანწყობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ.

**— თანაგუნდელებთან დამეგობრება თუ მოასწარი?**

— ყველაზე ახლოს ჯერჯერობით ზვიადაურთან, გუჯეჯიანთან და მამრიკიშვილთან ვარ. უახლოეს დღეებში მეგობრების წრე აუცილებლად ბევრად გაიზრდება.

**— შენს წონაში დიდი კონკურენციაა. როგორ ფიქრობ, შეძლებ „საგარეჯოს“ პირველნომრობას?**

— ქართული ძიუდო ვარსკვლავების სამჭედლოა და რა გასაკვირია, ნებისმიერ წონაში ძალიან ძლიერი ძიუდოისტი რომ გყავდეთ. მძიმეშიც არაერთი ანგარიშგასაწევი სპორტსმენია, თუმც ყველანაირად ვეცდები, „საგარეჯოს“ წინსვლაში ჩემი წვლილი შევიტანო. რახან ასეთი დონის გუნდში დამიძახეს, ესე იგი ჩემი იმედიც აქვთ.

**— აქამდე იყავი სხვა კლუბში?**

— არასოდეს. ეს პირველი შემთხვევაა და იმედია, წარმატებული სეზონი გვექნება.

**— „აბენსბერგი“ საგარაუდოდ ესტონელ მძიმეწონოსან ინდრიკ პერტელსონს დააყენებს. როდესმე მასთან გიჭიდავია?**

— პერტელსონს ორჯერ შევხვედრივარ და საერთო ანგარიში 1:1-ია.

***

*რევაზ* ციდირიდისი საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობაში უკვე მყარად ზის, თუმც ახლახან როტერდამში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა.

„ნეკნი მქონდა გატეხილი და საევროპოდ მწყობრში ჩადგომა ვერ მოვასწარი“ — გვიპასუხა გუშინ, მიზეზს რომ დავეკითხეთ.

**— ახლა როგორ გრძნობ თავს?**

— ყველაფერი რიგზეა. თავადაც შეამჩნევდით, უკვე სრული დატვირთვით ვივარჯიშე. თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ.

**— 60 კილოგრამში „საგარეჯოს“ შენს გარდა ოლიმპიური მედალოსანი ნესტორ ხერგიანიც ჰყავს. შეძლებ ძირითადში ადგილის დაკავებას?**

— მე ჩემსას ვეცდები, თავს არ დავზოგავ, შესაძლებლობებს ბოლომდე გამოვავლენ, დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— ორიოდ თვის წინ ჩეხეთში ჩატარებულ მსოფლიოს თასზე ერთი წონით მაღლა, 66 კილოგრამში იჭიდავე. „საგარეჯოშიც“ ხომ არ აპირებ წონის მომატებას?**

— აბენსბერგში არა მგონია, უფრო შორეულ პერსპექტივაზე კი ვერაფერს გეტყვით.

**— ქართულ კლუბში გადმოსვლამდე ბერძნული „ამინდოუს“ სახელით გამოდიოდი. ჩვენს მომავალ მეტოქე „აბენსბერგს“ ხომ არ დაპირისპირებიხართ?**

— ორი წლის წინ არ იქამდე ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა. გერმანიაში ვიყავით და „აბენსბერგის“ ჭიდაობაც ჩემი თვალით ვნახე, დაპირისპირებით კი ახლა დავუპირისპირდები. იმედია, გამარჯვებითაც გავიხარებ. ქართული კლუბის სახელით ჭიდაობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივია და ვეცდები, ქართველი გულშემატკივრების იმედები ბოლომდე გავამართლო.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ზურაბ ზვიადაური




ზურაბ კახაბრიშვილი



არსენ კასაბიევი და ვანო გრიქუროვი

# ცხინვალიდან ახალი ვარსკვლავი ამოდის

## არსენ კასაბიევი მსოფლიოს ჩემპიონია

**სამხრეთ** კორეის ქალაქ ბუსანში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იუნიორ ძალოსანთა შორის საქართველოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ქართული ძალოსნობის მთავარმა იმედმა არსენ კასაბიევმა, რომელიც 94კგ. წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი ოქროს მედალი აჩუქა. არსენმა იმდენად დამაჯერებლად იმარჯვა, რომ თვით მრავლისმნახველი და მსოფლიოს ძალოსნობის სამყაროში სახელგანთქმული ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ვანო გრიქუროვიც კი გააკვირვა.

კომენტარისათვის სწორედ ვანო გრიქუროვს მივმართეთ:

— არსენამდე იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველებმა ორჯერ მოიგეს. ერთხელ კახი კახიაშვილმა, მეორედ კი გიორგი ასანიძემ გვასახელა. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი შემდეგ დიდი სპორტსმენი დადგა და საქართველოს მრავალი მედალი, მათ შორის ოლიმპიური ოქროები მოუტანა. ეჭვი არ მეპარება, რომ არსენიც მათ გზას დაადგება.

ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ კასაბიევი სხვა კუთხით დავინახე. მასში უკვე ზრდასრულ მამაკაცს ვხედავ. არსენმა ორჭიდის ჯამში 375 კგ. ასწია და საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა. გარდა ამისა, ჩვენ ტაქტიკურადაც მოვუგეთ მეტოქეებს, განსაკუთრებით კი რუსმა სპორტსმენმა იზარალა.

ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთა ნაკრებს სერგეი სირცოვი წვრთნის, რომელსაც ახლაც მწარედ ახსოვს ბარსელონის ოლიმპიადა და კახი კახიაშვილი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მეტოქეებს პატარა ფანდი ჩავუტარეთ, რაზეც რუსები უმალ წამოეგნენ და სერგეი სირცოვის შეგირდმაც ნული ქულით დაამთავრა გამოსვლა ბუსანში, რაც მათმა დელეგაციამ ძალიან მტკივნეულად აღიქვა.

რაც შეეხება ჩვენს დანარჩენ ძალოსანთა გამოსვლებს, 56 კგ. წონით კატეგორიაში ზვიად სამუკაშვილმა საკმაოდ დამაჯერებლად იასპარეზა, თუმც საბოლოოდ მერვე ადგილს დასჯერდა.

105 კგ. წონით კატეგორიაში გია მაჭავარიანმა თავიდან კარგად დაიწყო, ატაცის შემდეგ მეოთხე პოზიციაზე იმყოფებოდა, მაგრამ ტრავმის გამო კარგად დაწყებული საქმის ღირსეულად დაგვირგვინება ვერ შეძლო და ტურნირს გამოეთიშა.

**ლადო ფულუკიძე**



ჯირო დიტალია 2005. 7-29 მაისი

# ბასო ნაფალარათევს

ეს [illegible] ისეთი [illegible] გამოდგა, [illegible] წლებში ყველაზე ხანგრძლივ [illegible] ხელმძღვანელი [illegible] ივან ბასო [illegible] წუთზე მეტით ჩამორჩებოდა.

„ვფიქრობ, რომ მთელ ტურნირზე ყველაზე მაგარი მთიანი ეტაპი — ასე ხდა მერე ბასო — [illegible] გადავწყვიტე, საქმის გარჩევა სპრინტამდე არ მიმეყვანა. მას შემდეგ, რაც რომ ნაფალარათევს [illegible] მივედი, ერთი მიზანი მქონდა, ლიდერს პირველს მივმეგო. ახლა ეს საქმე უკვე გაკეთებულია და მეც და მთელი გუნდიც მაგრად ნასიამოვნები ვართ. ყველამ უდიდესი გარჯა გასწია და ამიტომ ყველას უდიდეს მადლობას ვუხდი“.

ბასომ პელეტონის სათავეში ნაფალარათევს [illegible] ფინიშამდე 29 კილომეტრით ადრე შესძლო, როცა შემაღლებისას ორ უახლოეს მეტოქეს, სიმონისა და რუხანოს გადაუსწრო, თუმცა თანაგუნდელ ფრანკ შლეკთან ერთად მხოლოდ დარჩენილი მანძილის მანძილზე 20-კილომეტრიან ნიშნულზე მოხია. შლეკი ბასოს ლოკომოტივად ჩაუდგა და მალე წუთითა და 43 წამით დააწინაურა. მეტოქეები ცდილობდნენ, [illegible] წინ არ გაეშვათ, მაგრამ [illegible]

ერთი [illegible] ცილების [illegible] წინ [illegible] გარატეემ მას გაასწრო [illegible] ლება არ მისცეს, თუმცა [illegible] ლისა და დი ლუკას კი [illegible] და ეს უკანასკნელი ლიდერი ნაშთრჩა კიდეც. მერე რუხანოსა და სიმონიმ გარატეც ჩამოიტოვეს და ფინიშში [illegible] ორივეს გადაუსწრეს, რითიც [illegible] ქულებიც მიიღეს [illegible] გადაუსწრეს.

სავოლდელიმ რუხანოსა და [illegible] 42 წამი წააგო, თუმცა [illegible] შეჯიბრში, რაც [illegible] რბოლის [illegible] მაინც მოახერხებს, [illegible] კიდევ [illegible] რაც იმის [illegible] იქნება, რომ [illegible] რბოლა [illegible]

**კოტე ყორშია**



AFP

| მე-17 ეტაპი. 26 მაისი. ჰარაზე | ლიმონე პიემონტე. 194 კმ |
| --- | --- |
| 1 იყან ბასო (იტალია, სიესსი) | 5 სთ, 15 წთ, 46 წმ |
| 2 ხოსე რუხანო გილენი (ვენესუელა, სელე) | 1 წთ, 6 წმ |
| 3 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) | 1 წთ, 7 წმ |
| 4 ვიმ ფან ჰუფელი (ბელგია, დავიტამონ-ლოტო) | 1 წთ, 32 წმ |
| 5 ივან პარა (კოლუმბია, სელე) | 1 წთ, 48 წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი) | 81 სთ, 24 წთ, 50 წმ |
| 2 სიმონი | 58 წმ |
| 3 გილენი | 1 წთ, 24 წმ |
| 4 დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგას-ბიანკი) | 1 წთ, 26 წმ |
| 5 ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, სონიე) | 2 წთ, 11 წმ |



ივან ბასომ აიწყვიტა

AFP



ზე-თორმეტი

# უკანასკნელი დღე



რიჩი მაკქოუ („ქრუზეიდერსი“) და კრის ვაითეკერი („ვარატასი“) ზე-თორმეტის ბოლო ფინალში გაუძღვებიან გუნდებს

**დღეს** შაბათია, 28 მაისი, ზე-თორმეტის არსებობის უკანასკნელი დღე. ქრაისთჩარჩში ადგილობრივი „ქრუზეიდერსი“ ავსტრალიურ „ვარატასს“ მიიღებს და წლევანდელი გამარჯვებულიც გამოვლინდება. გაისად უკვე 12-ის ნაცვლად 14 გუნდი შეერკინება ერთმანეთს და შესაბამისად ზე-თოთხმეტზე მოგვიწევს წერა, ზე-თორმეტი კი ისტორიის კუთვნილება გახდება.

ფინალები, როგორც წესი, სპორტის ნებისმიერ სახეობაში უფრო დაძაბულია, ვიდრე სანახაობრივი. ეს თამაში შეიძლება გამონაკლისიც აღმოჩნდეს — დღეს ხომ ფინალური ფინალია, მეათე და სულ ბოლო ზე-თორმეტული ჯახი.

„ჯვაროსნებისთვის“ გადამწყვეტ მატჩში თამაში სულაც არ გახლავთ უცხო ხილი. სულ სხვა ამბავია სიდნეური კლუბი. „ვარატასი“ ზე-თორმეტის თასს ასე ახლოს პირველად ხედავს — ერთი ხელის გაწვდენა და...

„ქრუზეიდერსმა“ წლეულს ისეთი თამაში აჩვენა, რომ ყველასათვის ნათელი გახდა, რატომ არის ეს კლუბი ზე-თორმეტის ყველაზე ტიტულიანი მონაწილე.

არც ავსტრალიელნი არიან ჯაბანნი. მათი კაპიტნის, კრის ვაითეკერის გულიანი გაძღოლითა და შემართებით დღევანდელმა სტუმრებმა მრავალი მატჩი მოიგეს.

აქამდე ჩატარებული 9 ფინალიდან „ქრუზეიდერსი“ ექვსჯერ მონაწილეობდა. აქედან ოთხჯერ იმარჯვა კიდეც.

ათჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს დღევანდელი ფინალისტები ტურნირის არსებობის ისტორიაში. ექვსჯერ ზელანდიელებმა იმარჯვეს, მათ შორის წლეულს სიდნეიში, „ვარატასს“ კი მრისხანე კლუბი ოთხჯერ წამოუქცევია. ფრე ჯერ არასდროს დაფიქსირებულა.

წლევანდელ გათამაშებაში ორივე გუნდმა 10-10 თამაში მოიგო და 2-2 წააგო. „ჯვაროსანთა“ წამქცევები წლეულს „ბრამბისი“ და „ბულზი“ იყვნენ, „ვარატასს“ კი „ქრუზეიდერსთან“ და „ჰარიკეინსთან“ მოეცარა ხელი.

მაშ ასე, დღეს მეათე, საიუბილეო ფინალია. კაპიტნები — რიჩი მაკქოუ და კრის ვაითეკერი — ზე-თორმეტის ბოლო ფინალში ჩამოართმევენ ერთმანეთს ხელს.

**ლადო ფულუკიძე**

# როლან გაროსი 2005

## მესამე წრე

**კაცები**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ფერნანდო გონსალესი (25, ჩილე) 7:6 (11:9) 7:5 6:2; **რაფაელ ნადალი** (4, ესპანეთი) — რიშარ გასკე (30, საფრანგეთი) 6:4 6:3 6:2; **კარლოს მოია** (14, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4 7:6 (7:4) 6:7 (3:7) 0:6 6:4; **სებასტიან გროჟანი** (23, საფრანგეთი) — რადეკ შტეპანეკი (16, ჩეხეთი) 6:1 4:6 3:6 6:3 6:4; **დავით ფერერი** (20, ესპანეთი) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:3 6:1 7:5

**ქალები**

**ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 7:5 4:6 6:4; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:3 4:6 6:3; **მარი პირსი** (21, საფრანგეთი) — ვერა ზვონარიოვა (9, რუსეთი) 7:6 (7:2) 7:5; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — ფლავია პენეტა (32, იტალია) 4:6 6:0 6:1; **სესილ კარატანჩევა** (ბულგარეთი) — ვინუს უილიამსი (11, აშშ) 6:3 1:6 6:1; **კიმ კლაისტერსი** (14, ბელგია) — დანიელა ჰანტუხოვა (20, სლოვაკეთი) 6:4 6:2; **ელენა ლიხოვცევა** (16, რუსეთი) — სილვია ფარინა ელია (18, იტალია) 7:5 7:6 (7:2)



ამასაც მოვესწარით — 15 წლის ბულგარელმა სესილ კარატანჩევამ ტურნირიდან თვით ვინუს უილიამსი გააბუნძულა

# FRENCH KISS





AFP

ალიზ კორნე და ამელი მორეზმო

**ამელი** მორეზმოს წარმოდგენა არა აქვს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იშოვნოს როლანგაროსული ტიტული. მართალია, პარიზელია, მაგრამ უკვე თერთმეტი წლის განმავლობაში ამაოდ ეძებს პასუხს ამ კითხვაზე. ეგ კი არა, უკვე 25 წლისა მოყრილა და უკანასკნელ რვაულამდე ანუ მეოთხედფინალამდე მხოლოდ ორჯერ მიუღწევია. ეს მაშინ, როცა დიდი მუზარადის დანარჩენ სამსავე ტურნირზე გაცილებით უკეთეს შედეგებს დაიკვეხს... თუმცა იმის გამო, რომ მისგან ყოველწლიურად მოელიან ნავსის გატეხვას, ამელი ყოველწლიურადვე როლანგაროსობის ფავორიტთა შორის იხსენიება. ასეა ამჯერადაც, როცა ის კვლავაც რიგიან თიხნარფორმაშია და მოძღვრადაც წარსულში განთქმული მეჩოგნე, ფრანგ კაცთაგან როლანგაროსობის უკანასკნელად (1983 წელს) მომგები იანიკ ნოა შეურჩევია.

ნოა მას უმთავრესად იმას ურჩევს, ჩოგნაობით სიამოვნების მიღებას ეცადოს, სიმშვიდეს გაუფრთხილდეს და არასოდეს იფიქროს იმაზე, თუ რა ელის მერე, რათა ამით ზედმეტი ფსიქოპრობლემები არ გაიჩალიჩოს. ამელიც ჯერ-ჯერობით ასე იქცევა და ცდილობს, კორტზე ყოფნისას დემონების ნაცვლად ანგელოზებზე იფიქროს... ერთ-ერთი ანგელოზი მან იმ დღეს მეტოქედაც კი იხილა — 15 წლის ცუგრუმელა თვისტომი ალიზ კორნე, ვისაც საწოლის თავზე თურმე მისი ვეება პლაკატი ჰქონია გაკრული, სასოებით ინახავს მის მიერ ერთხელ კორტზე დალეწილ ჩოგანს და საერთოდაც, ამ ფოტოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მასზე მართლაც მაგრად უნდა იყოს შეყვარებული.

აზრზეც არ ვიყავი, მისი კერპი რომ ვყოფილვარო, კვირობდა ნამატჩევს ამელი და იმასაც გაჭირვებით იხსენებდა, თუ სად დაამტვრია ის ჩოგანი, ახლა ალიზის საუნჯეს რომ წარმოადგენს. თუმცა გოგოცუნასთვის ტკბილი სიტყვები მაინც არ დაინანებია და კოჭებშივე ეტყობა, ბრწყინვალე მომავალი რომ ელისო. შენ მოსვლას და ჩვენ დახვედრას გაუმარჯოს, ალიზ კორნე!

# იანკიზ, გოუ ჰოუმ!

## ქალის თავი ბურთებში ყოფილა



AFP

უკვე მეორე წელია, ამერიკელი მეჩოგნეები როლანგაროსობის მესამე წრეს ვერ აღწევენ. ანდრე აგასი პირველსავე წრეში ფლავდება, ენდი როდიკს კი მეორეში უდებენ კვანტს (ახლა მას არგენტინელმა ხოსე აკასუსომ აჯობა (2:6 4:6 6:4 6:3 8:6). აღარაფერს ვამბობთ სხვებზე,.ვთქვათ, ვინს სპედიასა თუ ჯეიმს ბლეიკზე, რომელნიც ამქარში ანგარიშგასანევ ძალას ისედაც არ წარმოადგენენ და თიხნარზე ხომ საერთოდაც უმაქნისნი არიან — ამათ საფრანგეთის ღია პირველობაზე არასოდეს გაუბრწყენიათ და, ვაგლახ, ალბათ ვერც ვერასოდეს გაიბრწყინებენ. გაკვირვებას მხოლოდ ენდი როდიკის განუვითარებლობა იწვევს — ამქრის ნაპირველოსნარი საფრანგეთის ღია პირველობაზე წლეულს უკვე მეხუთედ გამოდიოდა, მაგრამ საქმეში ჩახედული კაცი მის პირველ და მეხუთე როლანგაროსობას შორის კნინ განსხვავებას თუ დაინახავდა.

რა ხდება, ენდი, გაგვაგებინე, თუ კაცი ხარ...

— ისე ჩანდა, რომ საქმე პირველ სამ სეტშივე უნდა მოგეყომარებინათ. საამისოდ თითქოს ღონეც გყოფნიდათ და მოთმინებაც. მაგრამ მერე რაღაც რამსები აგერიათ. რატომ?

— ხოსემ თამაში გააუმჯობესა, დარტყმების სიზუსტესაც უმატა და მოწოდებისასაც, მე კი ჩემი შანსები გავანიავე და საბოლოოდ მატჩის სადავეებიც დამეკარგა.

— ერთ მომენტში მასაჟისტიც გამოიხმეთ. კრუნჩხვებმა შეგაწუხათ?

— ჰო, ცოტა არ იყოს წვივებმა შემაწუხა.

— როგორ ფიქრობთ, პარიზში ასე ბითურად რატომ გამოდიხართ ხოლმე?

— წარმოდგენა არა მაქვს. აქ გამოსასვლელად ყოველთვის კარგად ვემზადები და გამონაკლისი არც ეს სეზონი ყოფილა. ეგ მით უფრო, რომ ვიცი — აქ განსაკუთრებით გამიჭირდება და ამიტომ განსაკუთრებულადვე უნდა მოვემზადო. თუმცა ამის მიუხედავად არაფერი გამომდის. თუ რატომ ხდება ასე, არ ვიცი. იქნებ ამაზე თქვენ უფრო მეტის თქმა შეგიძლიათ?

— **გსიამოვნებთ თიხნარზე თამაში?**

— მე მსიამოვნებს ის, რომ ეს ჩემთვის რაღაც განსაკუთრებული გამოწვევაა, განსაკუთრებული ამოცანა. მე ყოველთვის ვცდილობდი, ეს ამოცანა წარმატებით გადამეჭრა და გარწმუნებთ, ამას მომავალშიც ვეცდები. რატომღაც მგონია, რომ წლეულს ეს უკეთესად გამომივიდა, ვიდრე შარშან და იმედი მაქვს, გაისად კიდევ უფრო უკეთესად გამომივა.

— **თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვაგან უფრო ფინიშისკენ აღწევთ ხოლმე, რამდენად იმედგამაცრუებელია თქვენთვის აქ ასე ნაადრევად წაფორხილება?**

— ეს საშინელებაა. თუ გაითვალისწინებთ, როგორ მინდა აქ წარმატებით გამოსვლა, ადვილად მიხვდებით, რა მურტალი რამეა ჩემთვის ასეთი მატჩების წაგება.

— **თიხნარს მართლაც განსაკუთრებული მომზადება სჭირდება. დარწმუნებული ხართ, რომ წლევანდელ როლანგაროსობამდე ამ საფარზე საკმარისად ბევრი ითამაშეთ?**

— შეუძლებელია, კაცმა ყოველ კვირა ითამაშოს. მაშინ უბრალოდ სეზონის ბოლომდე ვერ მიატან... წლეულს ნაღდად შარშანდელზე მეტი ვითიხნარე. თუმცა ისიც ცხადია, რომ საიმისოდ, რათა საკმარისად ითიხნარო, აქა-იქ ფინალამდე მაინც უნდა მიაღწიო, აღარაფერს ვამბობ მოგებაზე.

— **დღეს პირველი სამი სეტის განმავლობაში მეტოქე მხოლოდ ერთხელ მოგეკარათ საბრეიკპოინტეზე. თქვენ ფიქრობდით, რომ შეხვედრა უკვე მოგებული გქონდათ?**

— დიახ, მე თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ საქმე მოთავებული იყო.

— **თქვენი პრობლემა თვითრწმენის ნაკლებობა ხომ არ არის. ანუ, ვთქვათ, როცა თქვენი მეტოქე არგენტინელია ან ესპანელი და თქვენ იცით, რომ თიხნარზე ის თქვენზე ხშირად თამაშობს, ამის შეგნება ხომ არ გაფუჭებთ?**

— ალბათ არც უმაგისობაა. თუმცა დღეს მოგებამდე ხომ მხოლოდ ერთი ბეწოლა მაკლდა.

— **როგორც შარშან, წლეულს ამერიკელებს პირველსავე კვირაში დაგეიმასგექნათ. ამას ადვილად ინელებთ ხოლმე? „დაივიწყე ეგ არღნიანი თიხნარი და იფიქრე ბალახზე“ და რამე?**

— როგორ გითხრათ. თავს ახლა ბედნიერად არც ერთი ჩვენგანი არ გრძნობს. ეგ შეუძლებელია, სადმე წაავო და გასწორებულში იყო. ყველას ჩვენი სიამაყე გვაქვს და იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში აქ ვფლავდებით, მნიშვნელობა არა აქვს, თავს მაინც ცუდად ვგრძნობთ. ცხადია, იმედი მაქვს, რომ გუნებას ბალახზე გამოვიკეთებ, მაგრამ პირადად მე დანებებას არ ვაპირებ, თიხნარზე რაღაცის მიღწევას მომავალშიც ჰალალად ვეცდები.

— **ბოლო თვეების განმავლობაში რამდენიმე გადამწყვეტ მატჩში დამარცხდით — ლეიტონ ჰიუიტთან ავსტრალიის ღია პირველობასა და ინდიანუელსზე, ივან ლიუბიჩიჩთან დევისთასობაზე... შეიძლება, ამანაც იქონია თქვენს თვითრწმენაზე დამამბრკოლებელი ზეგავლენა?**

— მართალი ბრძანდებით. ბოლო თვეებში მართლაც არაფრისთვის მიმიღწევია. ერთადერთი — კაცურად ვვარჯიშობდი, თუმცა მხოლოდ ვარჯიშით დიდი გამარჯვებისთვის საჭირო ფსიქოლოგია არასოდეს გროვდება.

— **ამ როლანგაროსობაზე თქვენი ფავორიტი ვინ არის. როგორ ფიქრობთ, ვინ შეძლებს მოგებას?**

— ერთი ეგ ვიცი, რომ მე ნაღდად ველარ მოვიგებ... ისე კი, სადაც როჯერ ფედერერი თამაშობს, უმთავრეს ფავორიტად სწორედ ის უნდა მიიჩნეს. თუმცა თიხნარზე ნადალისა და კორიას შანსებიც ძალიან მაღალია. ამათთან ერთად არც გასტონ გაუდიოა გამოსარიცხი.

— **საერთოდ რამდენი დღე ან კვირა გჭირდებათ ხოლმე ასეთი მტკივნეული მარცხის გადასატანად?**

— არა მგონია, საამისოდ რაიმე მკაცრად დადგენილი ვადა მქონდეს. მთავარია, როგორმე გადაეწყო ისე, რომ მერე ისევ ერთი სული გქონდეს, როდის გახვალ კორტზე და ყველაფერს თავიდან დაიწყებ.

— **არადა, თქვენ აშშ-ის თიხნარზე წლეულსაც იმარჯვეთ. ცხადია, რომ განსხვავება იქაურ და აქაურ თიხნარს შორის არსებობს, მაგრამ ნუთუ განსხვავება ასეთი დიდია?**

— განსხვავება იმდენად კორტებს შორის კი არა, ბურთებს შორისაა. შტატებში „უილსონის“ ბურთებს ვხმარობთ — ეს ბურთები უფრო სწრაფი და მხტომელაა, აქ კი ბურთები უფრო ნელია. ასე რომ, არ არსებობს ვგეთი ფენომენები — „ამერიკული თიხნარი“ და „ევროპული თიხნარი“. ძაღლის თავი უფრო ბურთებში უნდა ვეძებოთ.

# იზორიამ მინეაპოლისი აიღო



**21 წლის** ქართველმა დიდოსტატმა ზეიად იზორიამ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ მინეაპოლისში გამართულ სუპერტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა. ტურნირის მონაწილე 269 მოჭადრაკიდან 50 დიდოსტატი იყო. მათ შორის გამოსარჩევია ამერიკელები გატა კამსკი, სლოვაკი ალექსანდრ ბელიავსკი, ინდოელი პენტალ ჰარიკრიშნა და სხვა.

ქართველმა დიდოსტატმა 9 შესაძლებლობიდან 7,5 ქულა აიღო და უახლოეს 10 მდევარს ნახევარი ქულით გადაუსწრო. სოლიდურ პრიზთან ერთად — 50 ათასი დოლარი — იზორია 7 ათას დოლარად ღირებული ბრილიანტის საათითაც დააჯილდოეს.

ტურნირის მეორე ქართველი მონაწილე გიორგი ყაჭეიშვილი 6 ქულით 26-ე ადგილს დასჯერდა.

**ლაშა გეგეჭკორი**





# სადუნდულედ შეუფერებელი ტიანანმინის მოედანი

**პეკინის** ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები ჯერ კიდევ 2000 წელს ფიქრობდნენ ჩინეთის დედაქალაქის ტიანანმინის მოედანზე ამავე თამაშების პროგრამით პლიაჟის ფრენბურთელთა შეჯიბრება უნდა ჩაეტარებინათ.

1989 წელს პეკინში რომ ანტისამთავრობო დემონსტრაციის მონაწილე ასობით სტუდენტი დახვრიტეს, ეს საშინელი ამბავი სწორედ ტიანანმინის მოედანზე დატრიალდა. ახლა, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით ქალთა საპლიაჟო ფრენბურთში შეჯიბრებები, რომელიც ძალზე პოპულარულია, ტიანანმინის მოედანზე კი არა, პეკინის ერთ-ერთ პარკში ჩაოიანში გაიმართება.

„ვფიქრობთ, რომ ეს ობიექტი განსაკუთრებით შესაფერისია სპორტის ამ სახეობისთვის" — უთხრა როიტერის სააგენტოს პეკინის ოლიმპიური თამაშების პრესასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა ფენ ციხუმ.

თუ რამ განაპირობა ტიანანმინის მოედნის უარყოფა, ამის თაობაზე არაფერს იუწყებიან. თუმცა, ცნობილია, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2001 წელს თავის ანგარიშში პეკინის მთავარ მოედანზე საპლიაჟო ფრენბურთში ასპარეზობის გამართვა „შეუფერებლად" ჩათვალა.

აქვე გაცნობებთ, რომ პეკინი ოლიმპიური თამაშების გასამართავად გეგმავს 20 მილიარდი დოლარის დახარჯვას, რომელთაგან 1 მილიარდი სპორტული ბაზების მშენებლობისთვისაა გამოყოფილი, 13 მილიარდი — ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და 3,8 მილიარდი — ბუნების დაცვის პროექტების განსახორციელებლად.

**ავთანდილ ბუჩიძელი**

# კაბაევამ კაბა ისევ გაიხადა



**ათენის** ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ალინა კაბაევა შარშან ნოემბერში გამოგვეთხოვა — მორჩა, სპორტული კარიერა დავასრულეო. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, ვერც ამ რუსმა მხატვრულად ტანმოვარჯიშემ გაუძლო ცდუნებას და განაცხადა: სარბიელს ვუბრუნდებიო, რაც მისმა მწვრთნელმა ირინა ვინერმაც დაადასტურა.

ის, რომ კაბაევამ ნოვოგორსკში რუსეთის ოლიმპიურ ბაზაზე კაბა გაიხადა, სპორტულად შეიმოსა და რეგულარული ვარჯიში განაახლა, ჯერ კიდევ მაისის შუა რიცხვებში გახდა ცნობილი. 21 მაისს სახელგანთქმული რუსი სპორტსმენების საზეიმო გაცილებისას იგი წამყვანად მოგვევლინა და წამოსცდა, აქ ზოგიერთ დამსწრეთაგან განსხვავებით, რომლებიც ამიერიდან უმუშევრები იქნებიან, მე ჯერჯერობით საქმეში ვრჩებიო.

რამდენიმე დღის შემდეგ ალინა კაბაევა გამოტყდა:

„ეს მართალია, მე მართლაც დავიწყე ვარჯიში. ოღონდ, საუბარი იმის თაობაზე, რომ დავბრუნდი, ჯერ გადაჭარბებულია. ეს არის ცდა სასურველი რეალობად წარმოვაჩინო. მაგრამ მე ძალზე სერიოზულად ვვარჯიშობ. ამ ნახევარი წლის განმავლობაში ძალიან მომენატრა ტანვარჯიში. მსურს კვლავ გამოვიდე შეჯიბრებებზე და გავახარო მაყურებელი".



**მეშვიდე ეტაპი** — **ევროპის დიდი პრიზი**

## ნიურბურგრინგი

*ნიურბურგი, 29 მაისი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------------- 5.148 კმ
**რბოლის დისტანცია** ------------------------ 60 წრე — 308.863 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან**: 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 ბატონი (**B.A.R**); 4 ტრული (რენო); 5 ალონსო (რენო); 6 ფიზიკელა (ზაუბერი); 7 ვებერი (იაგუარი); 8 მონტოია (უილიამსი)

**წრის რეკორდი**: 2004 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:29.468 (207,1კმ/სთ)

# სიახლე, რომელმაც მხოლოდ ექვსი ეტაპი გაძლო

**გაუგონარი** ამბავია — ჩემპიონატის მსვლელობისას სარბოლო წესდება შეიცვალა. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ გააუქმა თავისივე უხეირო საკვალიფიკაციო სიახლე, რომელმაც მხოლოდ ექვსი ეტაპი გაძლო.

შეგახსენებთ, რბოლის სტარტზე პილოტის ადგილი ორი საკვალიფიკაციო სესიის ჯამური დროით განისაზღვრებოდა, დღეიდან კი მხოლოდ ერთი. სპორტსმენები სესიის შედეგით განლაგდებიან. საერთო აზრით, ეს საკვალიფიკაციო გაჯიბრებას ინტერესს დაუბრუნებს. თუმცა, მაინც გვგონია, რომ საუკეთესო ვარიანტი იყო უწინდელი წესი, როცა სასტარტო პოზიციას ორი გასვლიდან საუკეთესო დრო არკვევდა.

„ნიურბურგრინგი" რთული, საშუალო სიგრძის და საშუალოდ ჩქაროსნული ტრეკია, სადაც გადამწყვეტია მრბოლ-ბოლიდის გამძლეობა. მით უმეტეს, თუ იქაურ ჭირვეულ ამინდს მივიღებთ მხედველობაში. ხვალაც წვიმის დიდი ალბათობაა.

ევროპის დიდი პრიზი ხვალ მეთხუთმეტედ გათამაშდება, ხოლო მეშვიდედ მთიან ნიურბურგში. ხუთი მოგებით რეკორდსმენია მიხაელ შუმახერი, ჩემპიონის ანგარიშზეც კიდევ სამი პოული და ხუთი უსწრაფესი წრეა. ლეგენდარულებიდან მის გარდა გაუმარჯვიათ ჟაკ ვილნევს (1996), რუბენს ბარიკელოს (2002) და რალფ შუმახერს (2003).

ხვალინდელ რბოლაში ბრიტანული „უილიამ ჰილის" საბუკმეკერო კანტორა გამარჯვებას, ბუნებრივია, ბოლო ორი ეტაპის მომგებ კიმი რაიკონენს უწინასწარმეტყველებს. მეორე შანსი აქვს ჩემპიონატის ლიდერ ფერნანდო ალონსოს, მესამე — მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერს წინა, მონაკოს ეტაპზე მცირე ავარიის გამო მხოლოდ მეშვიდე ადგილზე გასული შუმი წარუმატებლობას ფატალურ უიღბლობას აბრალებს და იმედი აქვს, რომ დღეს-ხვალ ვითარება „ფერარისთვის" სასიკეთოდ შეიცვლება.

მიხაელი ხვალ 220-ედ გავა სტარტზე, აქედან ეს მისი საიუბილეო [illegible] რბოლა იქნება „სკუდერიის" ბოლიდით.

კიდევ იმიტომაც, რომ BAR-ს საბენზინე ემკოსტისთვის ორეტაპიანი დისკვალიფიკაცია დაუმთავრდა და ჯენსონ ბატონი და ტაკუმა სატო ხვალ „ნიურბურგრინგზე" გაიჯიბრებენ, თუმცა ბრიტანული საჯინიბოს ძალიან [illegible] ხილია, რადგან ჩემპიონატის მესამედი უკან დარჩა, შარშანდელი მეორე პრიზიორი კი დღემდე უქულოდაა.

გუშინ პირველ ვარჯიშზე ყველას აჯობა „მაკლარენის" ტესტ-მძღოლმა ალექს ვურცმა, მიხაელს მეორე შედეგი ჰქონდა, რაიკონენს — მესამე, ალონსო „რენოში" პრობლემების გამო უდროოდ დარჩა.

ორი საათის შემდეგ მეორე გასვლაზეც ვურცი იყო უსწრაფესი, რაიკონენი — მეხუთე, ალონსო — მერვე, მიხაელმა ვურცთან თითქმის სამი წამი წააგო და მე-13 დრო დააფიქსირა.

**გია ახალაძე**



AFP ნიურბურგიდან

გუშინ ყველაზე სწრაფი ავსტრიელ ალექს ვურცის „მაკლარენი" იყო

# წაქცევა პარიზში

პარიზში „როლან გაროსის", კადრში რუსი მარია შარაპოვა, რომელიც ფრანგ არავან რეზაისთან შეხვედრაში, აი, ასე წაიქცა.



AFP პარიზიდან

# კაცი რაღაცის წინ

შეხედეთ ამ კაცს: ერთი, ორი და სამი. თუმცა არა, შველი იოკიმ ჰაქმანი მხოლოდ და მხოლოდ მეგოლფეა, ხოლო მუხლებზე იმიტომ დამდგარა, რომ კარგად დაინახოს, საით უნდა დაუმიზნოს ბურთი. უენტუორთში BMW-ს ჩემპიონატია და ისიც მონაწილეობს.



AFP უენტუორთიდან

# ცნობილი ცხენი ლოყაზე



AFP ნიურნბერგიდან

ეს გერმანელი მამაკაცი „ფერარის" გიჟია და რბოლამდე ლოყაზე საყვარელი ავტოფირმის ლოგოს იხატავს. ამბავი ნიურნბურგში ხდება.

# ჩვენ მოვიგეთ, ჯონ!

საზეიმოდ აქვთ ლივერპულელებს საქმე, აბა, რა, იმხელა ჩემპიონთა ლიგა მოიგეს და თან უკვე ლეგენდარულ თამაშში. ჰოდა, ზეიმობენ კიდეც. ზეიმობენ და არც იმ ქვეყნად წასულ თანაქალაქელებს ივიწყებენ, მათაც ულოცავენ. ამ ფოტოზე, მაგალითად, ფანებმა „ლივერპულის" შარფი ჯონ ლენონს შემოახვიეს.



AFP ლივერპულიდან



AFP ბარსელონიდან

# ბიჭები და ეტოო

„ბარსა" რომ ჩემპიონია, კატალონია თავისი უმცროების ბიჭებიანად ხარობს და ხარობს. ბიჭებს კი, როგორც ხედავთ, შუაში კამერუნელი სამუელ ეტოო ჩაუყენებიათ და ფოტოებს აჩხაკუნებენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, [illegible], ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, [illegible], ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ვირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: [illegible]
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, [illegible]
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოგალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: [illegible], ხათუნა ბუხსუფიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ყრიხთავი, ვატო ლეკალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფეიქრიძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge